10901

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა
24 ნოემბერი
1940 წ.
№ 273 (5974)
ფასი 10 კაპ.

სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ოცი წელი შეუსრულდა

მხურვალე ბოლშევიკური სალამი მოძმე საბჭოთა სომხეთის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას!



დიადი სტალინური კონსტიტუციის დროშით

ოთხი წლის წინათ, 1936 წლის 25 ნოემბერს კრემლში, საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობის ტრიბუნიდან გაისმა ხალხთა ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის—დიდი **სტალინის** გენიალური სიტყვები საბჭოთა კავშირის ახალ კონსტიტუციაზე—დიად სტალინურ კონსტიტუციაზე.

ერთი ფიქრითა და გრძნობით გამსჭვალული საბჭოთა ხალხი უდიდესი ყურადღებით უსმენდა თავის საყვარელ ბელადს, რომელიც ლაპარაკობდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესანიშნავ ფაქტებზე, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობაზე, ახალი, სოციალისტური კონსტიტუციის დროშით კომუნიზმის შემდგომ გამარჯვებათა მოპოვებაზე.

„რამდენიმე დღის შემდეგ,—ამბობდა ამხანაგი სტალინი,—საბჭოთა კავშირს ექნება ახალი, სოციალისტური კონსტიტუცია, აგებული გაშლილი სოციალისტური დემოკრატიზმის საფუძვლებზე.

ეს იქნება ისტორიული დოკუმენტი, რომელიც მარტივად და სხარტად, თითქმის ოქმის სტილით ლაპარაკობს სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების ფაქტებზე, კაპიტალისტური მონობისაგან სსრ კავშირის მშრომელთა განთავისუფლების ფაქტებზე, სსრ კავშირში გაშლილი, ბოლომდე თანმიმდევარი დემოკრატიის გამარჯვების ფაქტებზე.

ეს იქნება დოკუმენტი, რომელიც მოწმობს იმას, რომ ის, რაზედაც ოცნებობდნენ და განაგრძობენ ოცნებას მილიონობით პატიოსანი ადამიანები კაპიტალისტურ ქვეყნებში, — უკვე განხორციელებულია სსრ კავშირში.

ეს იქნება დოკუმენტი, რომელიც მოწმობს იმას, რომ ის, რაც განხორციელებულია სსრ კავშირში, სავსებით შეიძლება განხორციელდეს სხვა ქვეყნებშიაც“.

უკვე ოთხი წელია, რაც ეს დიადი დოკუმენტი მოქმედებაშია. სტალინური კონსტიტუციის ბრწყინვალე მზის ქვეშ სულ უფროდაუფრო იზრდება და მტკიცდება ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლო, ჰყვავის სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, წინ მიდის სოციალისტური კულტურა, მეცნიერება, ხელოვნება.

სტალინური კონსტიტუციის — მსოფლიოში ამ ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის საფუძველზე ჩატარებულმა როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, ისე ადგილობრივი საბჭოების არჩევნებმა გვიჩვენეს სსრ კავშირის ხალხთა უმაგალითო მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მათი მტკიცედ შემჭიდროება ლენინ-სტალინის უძლეველი პარტიის გარშემო, ხალხთა დიდი ბელადის—ამხანაგ სტალინის გარშემო. ამ არჩევნებმა მთელ მსოფლიოს დაანახვეს, რომ სოციალიზმი და დემოკრატია უძლეველი არიან.

მიდიოდა რა დიდი სტალინის მიერ ნაჩვენები გზით, ჩვენი ქვეყანა ნახევრადკოლონიური, ჩამორჩენილი და ღატაკი ქვეყნიდან — როგორიც იყო ძველი რუსეთი, — გადაიქცა მოწინავე ქვეყნად, თანამედროვე მძლავრი ინდუსტრიისა და მსხვილი კოლექტიური სოფლის მეურნეობის ქვეყნად. ახლა ბატონი კაპიტალისტები იძულებული არიან სერიოზული ანგარიში გაუწიონ სოციალიზმის ქვეყნის სულ უფროდაუფრო მზარდ ძლიერებას, რადგან იმპერიალისტმა ყაჩაღებმა როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, თავიანთ ზურგზე გამოსცადეს საბჭოეთის ქვეყნის სამხედრო ძლიერება, წითელი არმიის გამანადგურებელი დარტყმის ძალა.

ჩვენი ქვეყნის ბრძნული სტალინური საგარეო პოლიტიკა ახალ და ახალ მსოფლიო - ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებებს აღწევს. კაპიტალისტური სამყარო იძულებულია „შევიწროვდეს“ და უკან დაიხიოს. სსრ კავშირის ხალხთა დიად სტალინურ ოჯახს ამ უკანასკნელად 23 მილიონამდე ადამიანი შემოემატა. დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელთა შემდეგ სტალინური კონსტიტუციის დიადი დროშის ქვეშ დადგნენ ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის მშრომელნი!

ამჟამად მიმდინარეობს ამ ახალი საბჭოთა რესპუბლიკებიდან სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში დეპუტატების არჩევნების საარჩევნო კამპანია, რამაც გამოიწვია მშრომელთა უდიდესი პოლიტიკური აქტივობა. სტალინური კონსტიტუციის ცხოველმყოფელი მზე ათბობს ადამიანთა მილიონებს, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ კაპიტალისტური ექსპლოატაციის უღელ ქვეშ გმინავდნენ, ადამიანებს, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ საპყრობილეებში ისხდნენ, გადასახლებაში იტანჯებოდნენ, სისხლს ღვრიდნენ თავისუფლებისათვის ბრძოლაში. დღეს კი ჩვენი სამშობლოს ეს ახალი მოქალაქენი საბჭოთა ხალხთან ერთად სიამოვნებით კითხულობენ და განსაკუთრებული სიღრმით განიცდიან დიდი სტალინის მიერ ამ ოთხი წლის წინათ წარმოთქმულ ბრძნულ სიტყვებს:

„ბრძოლისა და გაჭირვების განვლილი გზის შედეგად სასიამოვნო და სასიხარულოა გვქონდეს ჩვენი კონსტიტუცია, რომელიც ჩვენს გამარჯვებათა ნაყოფზე ლაპარაკობს. სასიამოვნო და სასიხარულოა ვიცოდეთ, რისთვის იბრძოდნენ ჩვენი ადამიანები და როგორ მიაღწიეს მათ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებას. სასიამოვნო და სასიხარულოა ვიცოდეთ, რომ სისხლს, რომელიც უხვად დაღვარეს ჩვენმა ადამიანებმა, ამაოდ არ ჩაუვლია, რომ მან თავისი შედეგები მოგვცა“.

ამჟამად, როდესაც მეორე იმპერიალისტური ომი განსაკუთრებული სისასტიკით მძვინვარებს, როდესაც კაპიტალისტურ მსოფლიოში სუფევს ქაოსი და ნგრევა, — მთელი მსოფლიოს მშრომელთა თვალი მიპყრობილია სოციალიზმის დიადი ქვეყნისაკენ. სტალინური კონსტიტუციის მოელვარე სხივები სწვდება მსოფლიოს ყველა მივარდნილ კუთხეს და იქ დაჩაგრულ და განაწამებ ადამიანებს გულში იმედსა და რწმენას უნერგავს.

უძლეველი საბჭოთა ხალხი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით თავისი საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით შემდგომშიაც მტკიცედ ივლის წინ და სტალინური კონსტიტუციის დიადი დროშით მოიპოვებს ახალ-ახალ ბრწყინვალე გამარჯვებებს.

გეგმების შესრულება

ასურეთი (ტელეგრაფით). ასურეთის მტს-მა (თეთრიწყაროს რაიონი) 20 ნოემბრისათვის სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა 100,5 პროცენტით შეასრულა. სატრაქტორო სამუშაოები შესრულებულია 19.387 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 19.278 ჰექტარისა.

მზრალად მოხნულია 1.277 ჰექტარი, გეგმა შესრულებულია 102,2 პროცენტით. საწვავი მასალის ეკონომია გაკეთებულია 55 ცენტნერის რაოდენობით.

ასურეთის მტს-ის დირექტორი
ვანიევი

○

წნორი (ტელეგრაფით). წნორის მტს-მა 20 ნოემბრისათვის 101,1 პროცენტით შეასრულა 1940 წლის საწარმოო დავალება. გეგმით გათვალისწინებული 30.890 ჰექტარის ნაცვლად, სატრაქტორო სამუშაოები შესრულებულია 31.320 ჰექტარზე.

წნორის მტს-ის დირექტორი
ი. ფეიქრიშვილი

○

ცხაკაია („კომუნისტის“ კორ.). ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეობებმა რამის მოსავლის აღების წლიური გეგმა 109 პროცენტით შეასრულეს. სახელმწიფოს ჩაბარდა 2.599,2 ტონა რამის ნედლი ღერო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.380,5 ტონისა.

ივრის არხის მშენებლობა დაიწყო

სიღნაღი (ტელეგრაფით „კომუნისტის“ კორ.). 22 ნოემბრიდან დაიწყო ივრის არხის გაფართოება. არხის სიგრძე იქნება 12 კილომეტრი, რომელიც 750 ჰექტარს მორწყავს.

მიწის სამუშაოები მიმდინარეობს ფერგანელთა მეთოდით.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოსკოვის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტს ამხ. **ვ. მ. მოლოტოვის** სახელი მიაკუთვნა.

○

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. **ვ. გ. დეკანოზოვი** დანიშნა სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად გერმანიაში.

○

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ა. ა. შკვარცევი გაათავისუფლა სსრ კავშირის გერმანიის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოვალეობისაგან.

სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს სომხეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო მიესალმებიან სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავის გამო.

ოცი წლის წინათ სომეხმა ხალხმა, რომელსაც ბოლშევიკური პარტია ხელმძღვანელობდა, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით, გადაიგდო საძულველი უღელი ბურჟუაზიისა და მისი საზიზღარი ლაქიების — დაშნაკებისა და დაადგა სოციალისტური მშენებლობის გზას. სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს ნაციონალური შუღლი და მტრობა, რომელსაც დაშნაკების დახმარებით ცარიზმი ნერგავდა სომხეთის ხალხთა შორის.

წინათ ჩამორჩენილი ქვეყნიდან სომხეთი საბჭოთა ხელისუფლების წლების განმავლობაში გადაიქცა მოწინავე სოციალისტურ რესპუბლიკად, რომელსაც განვითარებული ინდუსტრია და კულტურული სოფლის მეურნეობა მოეპოვება. აგებულია 25-ზე მეტი ახალი სამრეწველო საწარმო: სინთეზური კაუჩუკის კომბინატი „სოვპრენი“, კიროვაკანის ქიმიური ქარხანა, ერევნის მანქანათმშენებელი ქარხანა, ლენინაკანის საფეიქრო კომბინატი, ალავერდის შაბიამნის ქარხანა, დავალუს ცემენტის ქარხანა, საკონსერვო ქარხანა, ხორცკომბინატი და სხვ. მსხვილი მრეწველობის პროდუქცია, 1913 წლის პროდუქციასთან შედარებით, 22-ჯერ გაიზარდა. აგებულია დიდი ელექტროსადგურები — კანაკირის ჰესი და ძორაჰესი. ამჟამად სომხეთში 72-ჯერ მეტი ელექტროენერგიის გამომუშავება სწარმოებს, ვიდრე 1913 წელს. ხილბოსტნეულის კონსერვების წარმოებამ 17-ჯერ იმატა, ღვინის დაყენება ერთი-ხუთად გადიდდა.

სომხეთის სსრ მშრომელებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს აგრეთვე სოფლის მეურნეობის დარგში, განსაკუთრებით მეხილეობა-მევენახეობისა და ტექნიკური კულტურების განვითარების საქმეში. თითქმის ერთი-სამად გადიდდა ბაღებისა და ვენახების ფართობი. საბჭოთა სომხეთის ველები დასერილია სარწყავი არხებით. 1913 წელს სარწყავი ფართობი 97 ათას ჰექტარს შეადგენდა, 1940 წელს კი 180 ათას ჰექტარს აღწევს. ყურძნისა და ბამბის მოსავლიანობა ერთი-ორად და მეტადაც გადიდდა. რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მინდვრებზე 1500-ზე მეტი ტრაქტორი და 247 კომბაინი მუშაობს. ყველა გლეხურ კომლთა 98 პროცენტი გაერთიანებულია კოლმეურნეობებად.

საბჭოთა ხელისუფლებამ უზრუნველჰყო მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის სწრაფი ზრდა და სომეხი ხალხის ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავება. რევოლუციამდე სომხეთში უმაღლესი სასწავლებელი არ ყოფილა. ახლა სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკას 9 უმაღლესი სასწავლებელი, 45 ტექნიკუმი და 15 სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი მოეპოვება. წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა სომხეთში 10 პროცენტიდან 74 პროცენტამდე გადიდდა. აღიზარდნენ საბჭოთა ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი ნაციონალური კადრები — ინჟინრები, მასწავლებლები, აგრონომები, ექიმები, ლიტერატორები, არტისტები.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო მტკიცე რწმენას გამოსთქვამენ, რომ საბჭოთა სომხეთის მშრომელები მომავალშიც ბოლშევიკური სიმტკიცით იბრძოლებენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, სომეხი ხალხის სოციალისტური კულტურის ახალ-ახალი გამარჯვებებისათვის.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო

საქართველოს მშრომელთა დელეგაციის შეხვედრა უკრაინის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან

კიევი, 23 ნოემბერი (რატაუ). 22 ნოემბერს საბჭოთა უკრაინის ქალაქებსა და სოფლებში მზიური საქართველოს დელეგაციის 20 დღის ყოფნის შემდეგ მოხდა პარტიისა და მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრა, რაც უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და უკრაინის სსრ სახკომსაბჭომ მოაწყეს.

მიღებას დაესწრნენ უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრები, უკრაინის სსრ მთავრობის წევრები, სსრ კავშირისა და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწენი.

უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის, ამხ. **ხრუშჩოვის,** უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ამხ. **გრეჩუხისა** და არმიის გენერლის, საბჭოთა კავშირის გმირის, ამხ. **ჟუკოვის** გამოჩენას დამსწრენი ერთსულოვანი, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ. დარბაზის ყოველი კუთხიდან გაისმის შეძახილი: „გაუმარჯოს ხალხთა დიად მეგობრობას!“, „გაუმარჯოს უკრაინის ბოლშევიკთა ხელმძღვანელს — ნიკიტა სერგის-ძე **ხრუშჩოვს!**“, გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობის მეთაურს — ამხანაგ **მოლოტოვს!**“ „გაუმარჯოს ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს—დიდ **სტალინს!**“. ყველანი ერთი გრძნობით გამსჭვალულნი ფეხზე დგებიან. გაისმის შეძახილი: „დიდ **სტალინს** — ურა!“, „ვაშა დიდ **სტალინს!**“.

ქართველი ხალხის დელეგაციიდან სიტყვა ეძლევა დელეგაციის ხელმძღვანელს ამხ. კიკნაძეს.

იგი ლაპარაკობს უკრაინაში ყოფნის დაუვიწყარ დღეებზე.

— მძიმე მანქანათმშენებლობის, მეტალურგიის ქარხნები და მრავალი სხვა საწარმო, რომლებიც ჩვენ საბჭოთა უკრაინაში ვნახეთ, გამოჰხატავენ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ძალას და სიმძლავრეს, მისი თავდაცვისუნარიანობის ძალას და სიმძლავრეს. უკრაინის მოწინავე კოლმეურნეობებში ჩვენ ვნახეთ კოლმეურნის შეძლებული ცხოვრება, სოფლის მეურნეობის აყვავება.

ჩვენ ვნახეთ მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების გაფურჩქვნა. მაგრამ ყველაზე მთავარი, რაც თვალში გვხვდება, არიან შესანიშნავი ადამიანები, ახალი ადამიანები, სტალინის ეპოქის ადამიანები. მათ მიერ ჩვენი გულმხურვალედ მიღება და შეხვედრა მოწმობს, თუ რაოდენ დიდი და მძლავრია დიადი საბჭოთა კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობა.

ყველა დამსწრეთა მქუხარე ტაშის გრიალში დელეგაციის წარმომადგენლებმა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს მიართვეს მაკეტი გორის სახლისა, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა დიდმა **სტალინმა.** კვლავ ჰქუხს ტაში. დელეგაციის წარმომადგენლებმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს გადასცეს ქართული ნაციონალური ნაბადი და ჩაბალახი, მახარაძის რაიონის ამხ. ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის ფოტოალბომი.

მოძმე მზიური საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციასთან უკრაინის კომუნისტური პარტიის, უკრაინის მთავრობის ხელმძღვანელთა და საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენელთა შეხვედრა გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობის დემონსტრაციად გადაიქცა.

დღეს, 23 ნოემბერს, დელეგაცია საქართველოში მოემგზავრება.

საქართველოს მშრომელთა დელეგაცია სამშობლოში გამოემგზავრა

კიევი, 23 ნოემბერი (**ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.**). 23 ნოემბერი უკრაინის დედაქალაქში საქართველოს დელეგაციის ყოფნის უკანასკნელი დღეა. დღეს კიევის ყველა გაზეთებმა სპეციალური გვერდები უძღვნეს საქართველოს დელეგაციის გამომგზავრებას. აი უკვე წასვლის დროა. სადგურის პერონზე, დელეგატებს მრავალი გამცილებელი ელოდება. მათ შორის არიან ხელმძღვანელი მუშაკები, მეცნიერებისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწენი. მატარებელი ნელა მოშორდა დებარკადერს.

კიევში ყოფნის უკანასკნელი დღე აღინიშნა კიევის შევჩენკოს სახელობის და თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტებს შორის 1941 წლისათვის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების დადებით. დღეს ამხ. ყიფშიძემ დელეგატთა ჯგუფით ინახულა შევჩენკოს სახელობის უნივერსიტეტი.

ახალ წელს, იანვრის დამდეგს თბილისში უნდა ჩამოვიდეს კიევის შევჩენკოს სახელობის უნივერსიტეტის დელეგაცია ხელშეკრულების გასაფორმებლად.

დელეგატთა მეორე ჯგუფი დღეს ეწვია უკრაინის მეცნიერებათა აკადემიას. დელეგატებს შეხვდნენ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტები — აკადემიკოსები პალადინი და საპეგინი. დელეგატებმა დაათვალიერეს აკადემიის განყოფილებანი. გაეცნენ მათს მუშაობას. შემდეგ ინახულეს ბიოქიმიის ინსტიტუტი, რომელსაც სათავეში უდგას აკადემიკოსი პალადინი.

გამომგზავრების წინ დელეგაციამ ერთსულოვანი ოვაციებით და „ვაშას“ ძახილით მიიღო ტექსტი მისალმებისა ამხანაგ **სტალინის** და **ხრუშჩოვის** სახელზე.

სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ულოცავს სომხეთის სსრ მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციასა და ყველა მშრომელს სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავს.

ოცი წლის წინათ სომხეთის მუშებმა და გლეხებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხეს დაშნაკების კონტრრევოლუციური მთავრობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ბოლო მოუღო ეროვნულ ჩაგვრას, უუფლებობას, სისტემატურ რბევასა და ერთა შორის სისხლისღვრას, მან სომხეთის მშრომელებს ნაციონალური აღორძინების, სამეურნეო და კულტურული აყვავების ფართო გზა გაუხსნა.

ლენინურ - სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად გატარების მეოხებით სომხეთი აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად იქცა. შექმნილია მრეწველობის ახალი დარგები: ქიმიური, მანქანათმშენებლობის, საფეიქრო - სატრიკოტაჟო და სხვა. უფრო მეტად განვითარდა მეღვინეობისა და საკონსერვო მრეწველობა. აგებულია მთელი რიგი ჰიდროელექტროსადგურები, წარმატებით ხორციელდება სევან - ზანგის ჩანჩქერის ჰიდროსადგურთა უდიდესი მშენებლობა, რაც მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალი ელექტროტევადი დარგების შემდგომი განვითარების საფუძველს წარმოადგენს.

საირიგაციო ნაგებობათა ფართო მშენებლობამ და თანამედროვე სასოფლო - სამეურნეო ტექნიკის გამოყენებამ სომხეთი მარცვლოვანი და ტექნიკური კულტურების უხვი მოსავლიანობისა და პროდუქტიული მეცხოველეობის რესპუბლიკად აქციეს. ფართოდ განვითარდა მევენახეობა, მებამბეობა და მებაღეობა.

მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მიღწეულმა წარმატებებმა უზრუნველჰყვეს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი ზრდა. ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების ფართოდ განვითარებული ქსელი ნაციონალური კადრებით უზრუნველჰყოფს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას.

მოსკოვში ჩატარებულმა სომხური ხელოვნების დეკადამ ცხადჰყო სომეხი ხალხის ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის მაღალი დონე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სრულ რწმენას გამოსთქვამს, რომ სომხეთის სსრ მშრომელები უფრო მეტ წარმატებებს მოიპოვებენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ფრონტზე, უზრუნველჰყოფენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების შემდგომს განმტკიცებას და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად კომუნისტური პარტიისა და დიდი სტალინის ხელმძღვანელობით გასწევენ წინ კომუნიზმის გზით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

ერევანი

სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს სომხეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელოვანი ოცი წლისთავზე მხურვალედ მიესალმებიან მოძმე საბჭოთა სომხეთის მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა სომხეთი თავისი არსებობის ოცი წლის მანძილზე გადაიქცა სანიმუშო სოციალისტურ რესპუბლიკად აღმოსავლეთის საზღვრებზე.

სომხეთის ბოლშევიკებმა გაანადგურეს კონტრრევოლუციური დაშნაკური აგენტურის, ბურჟუაზიული ნაციონალისტების, — საერთაშორისო იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტების გველის ბუდეები და აღზარდეს და დააწინაურეს **ლენინ-სტალინის** პარტიის ერთგული ნაციონალური კადრები.

ამხანაგ **სტალინის** ბრძნულმა სიტყვებმა იმის შესახებ, რომ „მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების იდეამ მოუტანა სომხეთს მშვიდობიანობა და ნაციონალური განახლების შესაძლებლობა“ ხორცი შეისხეს სომხეთის მშრომელთა ბრწყინვალე გამარჯვებებით სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში.

წინათ ჩამორჩენილი, დაბეჩავებული კოლონია მეფისა—სომხეთი გადაიქცა აყვავებულ რესპუბლიკად, რომელსაც აქვს მსხვილი სამრეწველო კერების განშტოებული ქსელი და მძლავრი ელექტროენერგეტიკული მეურნეობა, გადაიქცა სპილენძისა და სწრაფად მზარდი ქიმიური მრეწველობის რესპუბლიკად.

სომხეთის სოციალისტური სოფლის მეურნეობა ბამბისა და ყურძნის უხვ მოსავალს იძლევა. განვითარდა და განმტკიცდა მეცხოველეობა. სომხეთის კოლმეურნე გლეხობა შეძლებული და კულტურული ცხოვრების გზას დაადგა.

საბჭოთა ხელისუფლების მზის ქვეშ აღორძინდა სომეხი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მდიდარი კულტურა. იზრდება და იფურჩქნება ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური ხელოვნება საბჭოთა სომხეთისა.

ამ უდიდეს წარმატებებს სომხეთის მშრომელები უნდა უმადლოდნენ **ლენინ-სტალინის** პარტიას, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ **სტალინს.**

სოციალისტური მშენებლობის ამ წარმატებებს სომეხი ხალხი ისევე, როგორც ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხები, უნდა უმადლოდეს ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას, მის განუხრელად განხორციელებას დიდი **სტალინის** ერთგული მოწაფისა და თანამოღვაწის — ამხანაგ ლავრენტი **ბერიას** ხელმძღვანელობით, რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს.

დიადი საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში სომხეთის მშრომელები სომხეთის კომპარტიის ხელმძღვანელობით მიდიან კომუნიზმის ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ.

გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას!

გაუმარჯოს სომხეთის კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) და მის ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს **ლენინ-სტალინის** პარტიას და ჩვენს ძლევამოსილ საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა დიდ ბელადს — ამხანაგ **სტალინს!**

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უკანასკნელი ცნობები

რუმინეთი სამ სახელმწიფოს პაქტს შეუერთდა

ბერლინი, 23 ნოემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო შემდეგ ცნობას აქვეყნებს: „23 ნოემბერს, ერთი მხრივ, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა რიბენტროპმა, იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა ბუტიმ და იაპონიის ბერლინელმა ელჩმა კურუსუმ, ხოლო, მეორე მხრივ, რუმინეთის პრემიერ - მინისტრმა გენერალმა ანტონესკუმ ბერლინში ხელი მოაწერეს ოქმს, რომლის თანახმადაც რუმინეთი შეუერთდა სამ სახელმწიფოს პაქტს, რაც 1940 წლის 27 სექტემბერს დადებულია გერმანიასა, იტალიასა და იაპონიას შორის. ოქმის ტექსტში ნათქვამია: „ერთი მხრივ გერმანიის, იტალიისა და იაპონიის მთავრობა, ხოლო, მეორე მხრივ, რუმინეთის მთავრობა, ქვემორე ამისა ხელისმომწერლების—რწმუნებულ წარმომადგენელთა სახით შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1-ლი. რუმინეთი უერთდება სამთა პაქტს, რომელსაც გერმანიამ, იტალიამ და იაპონიამ ხელი მოაწერეს ბერლინში 1940 წლის 27 სექტემბერს.

მუხლი მე-2. იმ შემთხვევაში, თუ საერთო ტექნიკური კომისიები, რომელთა მუშაობის შესახებაც ნათქვამი იყო სამთა პაქტის მე-4 მუხლში, გაარჩევენ რუმინეთის ინტერესების შესახებს საკითხებს, რუმინეთის წარმომადგენლებიც მონაწილეობას მიიღებენ ამ კომისიების მუშაობაში.

მუხლი მე-3. ამ ოქმს თან ერთვის სამთა პაქტის ტექსტი.

ეს ოქმი შედგენილია გერმანულ, იტალიურ, იაპონურ და რუმინულ ენაზე. ამასთანავე თვითეული ეს ტექსტი ორიგინალად ითვლება. ოქმი ძალაში შედის დღიდან მისი ხელმოწერისა“.

სამხედრო წესები თურქეთში

ანკარა, 23 ნოემბერი (საკდესი). ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „მინისტრთა საბჭომ დეკრეტი გამოსცა, რომლითაც ერთი თვის ვადით სამხედრო წესებია გამოცხადებული თურქეთის შემდეგ ვილაიეთებში: სტამბოლის, კირკლარელის, ედირნის, თექირდაღის, ჩანაკალისა და კოჯაელისაში“.

სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. არუთინიანი, სომხეთის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ა. ფირუზიანი, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პაპიანი.

სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესია

ერევანი, 23 ნოემბერი (**ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.**). ოპერისა და ბალეტის დიდ საუცხოო შენობაში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესია.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები არუთინიანი, ფირუზიანი, პაპიანი, გუკასოვი, სარქისიანი, კარაპეტიანი, აკოფჯანიანი, ხოჯანაპეტიანი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სახალხო კომისრები, აკადემიკოსი ორბელი, მოძმე რესპუბლიკების დელეგაციების წარმომადგენლები: საქართველოდან — ამხ. თავაძე, დადიანი, ჯანაშია, გულია; აზერბაიჯანიდან — ამხ. გაჯიევი, მირბაშირ კასუმოვი, კარელია-ფინეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთისა და სხვა რესპუბლიკების დელეგაციების წევრები.

საიუბილეო სესიას ხსნის სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ამხ. აკოფჯანიანი.

დარბაზის მქუხარე ტაშით საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს ხალხთა ბელადის დიდი **სტალინის** მეთაურობით. ახალი ძალით ჰქუხს ტაში, როდესაც გაისმის სომეხი ხალხის ღირსეული შვილის ამხ. **მიქოიანისა** და სომეხი ხალხის საუკეთესო მეგობრის ამხ. **ბერიას** სახელები.

სომხეთის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ფირუზიანი გამოვიდა საანგარიშო მოხსენებით.

მოხსენების შემდეგ სესიას მიესალმა ერევნის მშრომელთა დელეგაცია. დელეგაციის სახელით გამოვიდა ამხ. იოანესიანი. აზერბაიჯანის მშრომელთა სახელით გამოვიდა ამხ. გაჯიევი. გულთბილად შეხვდნენ მოწინავე კოლმეურნეთა დელეგაციის გამოსვლას.

შემდეგ საქართველოს მშრომელთა სახელით სესიას მიესალმა ამხ. ი. თავაძე.

— გაუმარჯოს აყვავებულ სომხეთს, გაუმარჯოს ამხანაგ **მიქოიანს, მოლოტოვს, ბერიას**, გაუმარჯოს დიდ **სტალინს!** — დაამთავრა თავისი სიტყვა ამხ. თავაძემ.

სტალინისადმი მადლობით აღსავსე, მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა აკადემიკოსმა ორბელმა. შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა საბჭოთა კავშირის გმირი ფონინი გარნიზონის წითელარმიელთა სახელით, ასვატუროვი — მესაზღვრეთა სახელით. გულთბილად შეხვდნენ ლატვიის ხალხის წარმომადგენლის ამხ. ფრიც ტრაიმასის, კარელია-ფინეთის წარმომადგენლის ამხ. კარპოვის, ყირგიზეთის წარმომადგენლის ამხ. სეიდოვის, უზბეკეთის წარმომადგენლის ამხ. ახუნბაბაევის და სხვა დელეგაციების წევრთა გამოსვლებს. უზბეკეთის დელეგაციის წევრმა ამხ. აბდულაევმა საჩუქრები გადასცა სომხეთის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

სესიამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ხალხთა ბელადს დიდ **სტალინს**, ამხანაგ **მოლოტოვს, კალინინს, მიქოიანს** და **ბერიას**, რის შემდეგაც სესია დაიხურა.

გამოჩენილი გეოგრაფისათვის მეცნიერული ხარისხის მინიჭება

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის საატესტაციო კომისიამ გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის მეცნიერული ხარისხი მიანიჭა თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰიდროლოგიისა და კლიმატოლოგიის კათედრის გამგეს პროფესორ ყავრიშვილს.

პროფესორი ყავრიშვილი 33 მეცნიერული ნაშრომის ავტორია. მისი დისერტაცია „საქართველოს ლანდშაფტურ - ჰიდროლოგიური ზონები“, სპეციალისტთა ერთსულოვანი შეფასებით, ძვირფას განძს წარმოადგენს გეოგრაფიული მეცნიერებისათვის. ნაშრომს დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. იგი დაწვრილებით ახასიათებს საქართველოს ცალკეული ზონების ბუნების თავისებურებას და ჰიდროლოგიურ პირობებს.

პროფესორი ყავრიშვილი 45 წლისაა. მან 22 წელი მოახმარა პედაგოგიურ მოღვაწეობას უმაღლეს სასწავლებლებში. (საქდესი).

სამხედრო-საველე ქირურგიის კვირეული

წითელი არმიის სამხედრო - სანიტარული სამმართველოს გადაწყვეტილებით მთელს საბჭოთა კავშირში ამჟამად ტარდება სამხედრო - საველე ქირურგიის კვირეული. ჩვენში — საქართველოში კვირეული 25 ნოემბერს დაიწყება და დეკემბრის ბოლომდე გაგრძელდება. ამ საქმეს საქართველოში ხელმძღვანელობს ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი. სამხედრო სანიტარული სამმართველოსთან ერთად, ექიმთა საზოგადოების საშუალებით სასურველია ამ კვირეულში მონაწილეობა მიიღონ ყველა სპეციალობის ექიმებმა და სამედიცინო ინსტიტუტის უკანასკნელი კურსის სტუდენტებმა.

სამხედრო - საველე ქირურგიის ამოცანაა გააცნოს სამხედრო და სამოქალაქო მედიცინის მუშაკთა ფართო მასებს დაჭრილთა მკურნალობის მეთოდები და საველე პირობებში ქირურგიული მუშაობის ორგანიზაცია.

ყველა ქალაქში მედიცინის მუშაკთათვის ეწყობა ლექციები და მოხსენებები სამხედრო - საველე ქირურგიისა და სანიტარული ტაქტიკის შესახებ.

თეთრფინელებთან ბრძოლის მონაწილე ექიმები თავიანთ გამოცდილებას გაუზიარებენ კვირეულში მონაწილეებს, გააცნობენ დაჭრილთათვის ქირურგიული დახმარების საკითხებს და სხვ.

ჩატარებული იქნება სამედიცინო სამეცნიერო კონფერენციები, რომლებზეც მოხსენებებით გამოვლენ ჩვენი ქვეყნის მოწინავე სპეციალისტები.

კვირეულის განმავლობაში წაკითხული იქნება მეტად საინტერესო მოხსენებები. პირველი რანგის სამხედრო ექიმი ოსიძე წაიკითხავს მოხსენებას: „საჯარისო რაიონში ქირურგიული მუშაობის საერთო პრინციპები“. ექ. შ. თოფურია—„ახალი რამ შოკის შესახებ და მასთან ბრძოლა“, პირველი რანგის სამხედრო ექიმი გურვიჩი—„საჯარისო სანიტარული სამსახურის მუშაობის შედეგები თეთრფინელებთან ბრძოლაში“, პროფ. გ. მუხაძე—„თავის ქალისა და მისი შიგთავსის დაზიანების მკურნალობა საჯარისო რაიონში“, პროფ. ა. ედიბერიძე და ელკინი — „გადაუდებელი სპეციალური დახმარება ყბა-სახეში დაჭრილთათვის“, პირველი რანგის სამხედრო ექიმი კონტრიძე—„ასეულის მედდახმარების პუნქტის მუშაობა საველე პირობებში“, ექ. დ. ბერეჟიანი — „მოყინვის პროფილაქტიკა და მკურნალობა“, პროფ. მ. ცხაკაია—„სატრანსპორტო იმობილიზაცია საჯარისო რაიონში“, პროფ. გ. ჭუჩინაშვილი — „ტკივილდადუმება საჯარისო რაიონში“, პროფ. გ. მუხაძე — „ჩვენებანი და უკუჩვენებანი და სისხლის გადასხმის ტექნიკა“, პროფ. ალ. წულუკიძე — „ბაქტერიოფაგის გამოყენების შესაძლებლობა ჭრილობათა მკურნალობისას საჯარისო რაიონში“, პროფ. ქ. დ. ერისთავი—ა) „ინფიცირებულ ჭრილობათა პროფილაქტიკა და მკურნალობა“ და ბ) „სიდამწვრეები და მათი მკურნალობა“, ექ. ბ. ჩიქოვანი— „ზურგის ტვინის დაზიანებათა მკურნალობა“, დოც. მ. გიგოლოვი—„გულმკერდის დაზიანებათა მკურნალობა“, პროფ. ერ. თოდაძე — „მენჯისა და შარდსასქესო გზების დაზიანებათა მკურნალობა საჯარისო რაიონში“ და სხვ.

ორდენოსანი საქართველოს საექიმო საზოგადოებრიობის ამოცანაა აქტიური მონაწილეობა მიიღოს კვირეულის ჩატარებაში, კარგად შეითვისოს სამხედრო საველე ქირურგიის მიღწევები და შემდგომ გააღრმავოს ისინი, რომ შეუფერხებლად შესძლოს ამ მიღწევათა გამოყენება ყოველგვარ პირობებში.

პროფ. ქ. დ. ერისთავი

ორდენოსანი, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ლადო მესხიშვილი

(გარდაცვალებიდან 20 წლისთავის გამო)

ლადო მესხიშვილი როგორც შემოქმედი ორი საუკუნის მიჯნაზე დგას. მისი მომხიბვლელი ნიჭისა და ელვარე ოსტატობის შუქთა ფენა ანათებს და ამაღლებს გასული საუკუნის ბოლო ათეული წლების სასცენო ხელოვნებას. ახალი საუკუნის დასაწყისიდან კი მომწიფების ასაკში შესული, სრულქმნით წარმომსახველი მისი ტალანტი წინ უძღვის, გზას უკაფავს და ბრწყინვალე წარმატებით მოსავს პირველი რევოლუციის თანახმიერ, საბრძოლო მგზნებარებით აღსავსე და მოქალაქეობრივი სულით ამაღლებულ იმდროინდელ ქუთაისის თეატრს. ლადო მესხიშვილი მე-19 საუკუნის 80-90-იან წლებში ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა და ივანე მაჩაბლის თეატრის შვენება და სიამაყე იყო. ხოლო ახალი საუკუნის განთიადზე ლადო გარს იკრეფს თეატრალურ ახალგაზრდობას და ჰქმნის რევოლუციურ ბრძოლებში ჩაბმული მასების მისწრაფებისა და საბრძოლო განწყობილების გამომხატველ თეატრს.

ამგვარად, ლადო მესხიშვილის შემოქმედება, მისი მრავალმხრივი სასცენო მოღვაწეობა წარმოგვიდგება ოქტომბრის რევოლუციამდელი ქართული თეატრის სარკედ, რომელშიც სრულად არის ასახული 80-იანი წლებიდან მთელი 40 წლის მანძილზე სასცენო ხელოვნების განვითარების ყოველი ეტაპი.

ლადო მესხიშვილის მგზნებარე დრამატიული ნიჭის მიმგნები და აღმომჩენი თვით ილია ჭავჭავაძე იყო დრამატურგ დავით ერისთავთან ერთად. ბედუკუღმართი სწავლა-აღზრდით ლადოს ამ დროს სამშობლო ენა სრულიად დავიწყებული ჰქონდა, მაგრამ ილია ჭავჭავაძის შთაგონებით 1881 წელს ის მაინც შედის სამშობლოს სცენაზე და შეავსებს დიდ ქართველ მსახიობთა კრებულს, რომელსაც უკვე სახელმოხვეჭილი ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, ნატო გაბუნია, მარიამ საფაროვა-აბაშიძე და კოტე მესხი წარმოადგენდნენ. ლადოს ამ დროს სცენაზე გამოჩენა მართლაც რომ ამ კრებულის შევსება იყო, რადგან მანამდე ქართულ რეალისტურ თეატრს არ გააჩნდა ტრაგედიისა და დრამის აღმსრულებელი მსახიობი.

ლადო მესხიშვილი აღიზარდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ივანე მაჩაბლის საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და ქართული შემოქმედების სკოლაში. კრიტიკა ილია ჭავჭავაძის ჩაგონებით ლადო მესხიშვილს მისი აქტიორული შესრულების ავსა და კარგს პირში საჯაროდ ეუბნებოდა, „არც ანებივრებდა ტყუილის ბარაქალითა და არც გულსა ჰკრიდა ტყუილის დაწუნებითა“.

ამ მშობლიური სკოლის გარდა ლადო მესხიშვილმა მეორე დიდი სკოლაც გაიარა, დიდი რუსეთის ხალხის დრამატურგიაზე — გოგოლის, ოსტროვსკის, სუხოვოკობილინის პიესებზე მუშაობით, რუსეთის სახელოვან ოსტატებთან ურთიერთობით, დროდადრო რუსულ სცენაზე ქმედობით მისი აქტიორული კულტურა იზრდებოდა და ივსებოდა, მისი მოქალაქეობრივი შეგნება, მისი შემოქმედება ინტერნაციონალიზმის მაღალი გრძნობით იმსჭვალებოდა.

ამდენად მომზადებულმა და განსწავლულმა ლადო მესხიშვილმა შესძლო ქართული რეალისტური დრამისა და ტრაგედიის შექმნა. ლადო მესხიშვილი ქართული რეალისტური სკოლის პირველი ტრაგიკოსი იყო, რომელმაც საოცარი გულთამხილავი ნიჭით, დიდი ნააზრევი, სიღრმეში ჩამწვდომი ძალით წაგვიკითხა, გულთან და გონებასთან ახლო მოგვიტანა და შეგვათვისებია დიდი შექსპირი, უკვდავად წარმოგვისახა ჰამლეტის მშფოთვარე და მღელვარე სული, ოტელოს ბედშაობა—იჰვიანობითა და მრისხანებით, ედგარის ჰირგადახდილობა და შილერის რეპერტუარიდან ძმების მოორების — ფრანცის ვერაგობა და კარლოსის სიყვარული, ფრანცის დესპოტიზმი და კარლოსის ბრძოლა ტირანიის დასამხობად.

ლადო მესხიშვილის შემოქმედების შემდეგი პერიოდი დაკავშირებულია საქართველოს ისტორიის ახალ ხანასთან, როდესაც დიდი სტალინის ხელმძღვანელობით დარაზმული საქართველოს მუშათა კლასი და გლეხობა გადამწყვეტ ბრძოლას აჩაღებს ცარიზმის დასამხობად, ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსასპობად. ლადო მესხიშვილის ნიჭის სრულად გაფურჩქვნა, მისი შემოქმედების საოცარი ზეასვლა სწორედ ამ დროიდან იწყება.

სწორედ ამ ხანიდან ლადო მესხიშვილის შემოქმედება პირველი რევოლუციის თანახმიერებას ამჟღავნებს და მისი ხელმძღვანელობით განახლებული ქუთაისის თეატრიც დიდ აღმავლობას განიცდის. ახლა მარტო ცალკეული შესანიშნავი სცენიური სახეების შექმნით კი არ განისაზღვრება ლადო მესხიშვილის შემოქმედება, არამედ ამ დროიდან ის გვევლინება მთელი ქართული თეატრალური კულტურის განახლების და ახალი გზით წარმართვის მოთავედ, გაბედულ რეფორმატორად, მსახიობთა და სცენის მოღვაწეთა ახალი თაობის (კოტე მარჯანიშვილი, შალვა დადიანი, ვალერიან შალიკაშვილი, ნინო ჩხეიძე, ალექსანდრე იმედაშვილი, იუზა ზარდალიშვილი, ალ. წუწუნავა, ნიკო გვარაძე და სხვ.) რეჟისორ-აღმზრდელად და მასწავლებლად. ლადო მესხიშვილი ახალი პრინციპებით შერჩეულ, რევოლუციური ეპოქის თანახმიერ დრამატურგიაზე დამყარებით ჰქმნის თეატრს, რომელსაც რევოლუცია აძლევს ძალას მოგვცეს ნამდვილი სახალხო სპექტაკლები, რომელიც აიარაღებს ხალხს ცარიზმის დასამხობად, ჩაგვრა-მონობის მოსასპობად.

რევოლუციის დამარცხებისთანავე, შავრაზმელი თავადაზნაურების მიერ ზურგგამაგრებულმა ცარიზმმა ლადო მესხიშვილის მიერ დანერგილი ახალი თეატრალური კულტურის საწყისები ძირშივე ჩაახშო. და რამდენიც არ ეცადა შემდეგ დიდი ოსტატი ამ თეატრის სრული სახით აღდგენას, ეს რეაქციის პირობებში შეუძლებელი აღმოჩნდა. მესხიშვილი მტკიცე რწმენით ელოდა რევოლუციის გამარჯვებას, რომ ახალი ძალით შესდგომოდა ნამდვილი ხალხური სცენიური ხელოვნების გატაცებით სამსახურს.

დიდი ხელოვანი ამას ვერ მოესწრო, მაგრამ მისი ოცნება სოციალიზმის გამარჯვების პირობებში, ლენინ-სტალინის პარტიის შეუნელებელი მზრუნველობით აქკეცად განხორციელდა და ქართული თეატრალური კულტურა ნამდვილი ხალხურობის ნიადაგზე აყვავდა და გაიფურჩქნა; აღსანიშნავია, რომ სასცენო ხელოვნების ამ ისტორიულ აღმავლობაში დიდი როლი ითამაშა სწორედ ლადო მესხიშვილის მიერ აღზრდილმა და რუსეთის სასცენო ხელოვნების ასპარეზზე დავაჟკაცებულმა დიდმა ოსტატმა კოტე მარჯანიშვილმა.

ლადო მესხიშვილის დიდი შემოქმედება და დიდი ღვაწლი მხოლოდ გამარჯვებული სოციალიზმის პირობებში იქნა ჯეროვნად დაფასებული — ხალხისათვის დაუვიწყარი და საყვარელი მისი სახელი ქუთაისის თეატრს მიეკუთვნა.

ლადო მესხიშვილის უკვდავი შემოქმედების დიდი ძალა, მესხიშვილის აქტიორული სკოლის ფასდაუდებელი დამსახურება იმაშია, რომ სასცენო შესრულების მესხიშვილისებური ხალხურობა, ცხოველმყოფელობა, მგზნებარება, კეთილშობილი პათოსი და მართლად მეტყველი დრამატიზმი მარად დარჩება რევოლუციამდელი ქართული თეატრის უდიდეს მონაპოვრად, რომლის ათვისებას მსახიობთა ყოველი ახალი თაობა დიდის გულმოდგინებით უნდა მოეკიდოს. ლადო მესხიშვილის მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით წარმართული და ტრაგიზმით აღსავსე მისი ცხოვრება და ულამაზესი სახე მუდამ დარჩება პოეზიის, მხატვრობისა და სასცენო ხელოვნების შთაგონების დაუშრეტელ წყაროდ.

დ. ჯანელიძე

ფ. ენგელსის მეცნიერული წინასწარმეტყველებანი

(ფ. ენგელსის დაბადებიდან 120 წლისთავისათვის)

„სასწაულებრივი წინასწარმეტყველება [illegible] მეცნიერული წინასწარმეტყველება [illegible]

ლენინი

მარქსიზმის შექმნა კ. მარქსთან ერთად მჭიდროდ და განუყრელად არის დაკავშირებული ფრ. ენგელსის უკვდავ სახელთან. ფრ. ენგელსი მარქსთან ერთად „თანამედროვე პროლეტარიატის ყველაზე გამოჩენილი მეცნიერი და მასწავლებელი იყო მთელ განათლებულ ქვეყნიერებაზე“ (ლენინი). ენგელსმა მარქსთან ერთად შექმნა მეცნიერული კომუნიზმი. მარქსმა და ენგელსმა ღრმად შეისწავლეს მსოფლიო ისტორია, ყველა დროისა და ყველა ქვეყნის ისტორია და აღმოაჩინეს ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონზომიერება.

მარქსმა და ენგელსმა შექმნეს მეცნიერული მოძღვრება ადამიანთა საზოგადოების შესახებ, რომელიც შემდგომ განავითარეს და ახალ მაღალ საფეხურზე აიყვანეს ლენინმა და სტალინმა. ერთად-ერთი ჭეშმარიტი მეცნიერება, რომელიც იძლევა საშუალებას მეცნიერულად ავხსნათ საზოგადოების განვითარება და წინასწარ განვჭვრიტოთ მომავალი, არის მარქსისტულ-ლენინური თეორია.

„მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძალა მდგომარეობს იმაში, რომ იგი აძლევს პარტიას შესაძლებლობას გაერკვეს ვითარებაში, გაიგოს გარემომცველ მოვლენათა შინაგანი კავშირი, წინასწარ განჭვრიტოს მოვლენათა მსვლელობა და გამოიცნოს არა მარტო ის, თუ როგორ და საით ვითარდებიან მოვლენები აწმყოში, არამედ ისიც, თუ როგორ და საით უნდა განვითარდნენ ისინი მომავალში“.[1]

მარქსმა და ენგელსმა გენიალურად განჭვრიტეს და მეცნიერულად დაამტკიცეს კაპიტალიზმის გარდუვალი დამხობა და სოციალიზმის ასევე გარდუვალი ისტორიული აუცილებლობა, ამასთან მათ პირველებმა მიუთითეს სოციალიზმის გამარჯვების გზებსა და საშუალებებზე. მარქსსა და ენგელსამდე მეცნიერულად არავის დაუმტკიცებია სოციალიზმის ისტორიულად გარდუვალი გამარჯვება.

მარქსი და ენგელსი ჯერ კიდევ „კომუნისტურ მანიფესტში“ სწერდნენ, რომ ბურჟუაზია „ჰქმნის პირველყოვლისა თავის საკუთარ მესაფლავეს. მისი დამარცხება და პროლეტარიატის გამარჯვება ერთნაირად აუცილებელია“-ო. მარქსის და ენგელსის ეს წინასწარხედვა ასრულდა ჩვენი ქვეყნის მაგალითზე. და იგი ელის სავსებით ასეთსავე განხორციელებას ყველა სხვა ქვეყანაშიც. ამიტომ ამბობდა ლენინი 1918 წ. 7 ნოემბერს მარქსისა და ენგელსის ძეგლის გახსნაზე წარმოთქმულ სიტყვაში: „ჩვენ განვიცდით ბედნიერ დროს, როცა დიდ სოციალისტთა ამ წინასწარხედვამ დაიწყო ასრულება“-ო.

ფ. ენგელსი იყო გენიალური მეცნიერი წინასწარმეტყველი. მას შეეძლო ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ღრმა ცოდნის საფუძველზე, მოვლენების, ფაქტების მრავალმხრივ გამოანგარიშებისა და მკაცრი მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მთელი ათეული წლების წინ განეჭვრიტა განვითარება და ეწინასწარმეტყველნა მოსალოდნელი მდგომარეობა, მოსალოდნელი მოვლენები.

ფრ. ენგელსმა მრავალი ოფიციალური დოკუმენტის, წიგნების, მუშათა გამოკითხვისა და პირადი საუბრების საშუალებით დაწვრილებით შეისწავლა მუშათა კლასის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა კაპიტალიზმის კლასიკურ ქვეყანაში — ინგლისში, მთელი სიღრმით ჩასწვდა ამ მდგომარეობას და მთელი სისრულით აღწერა იგი თავის შესანიშნავ წიგნში „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“, რომელიც გამოიცა 1845 წელს.

ენგელსმა შესანიშნავად განჭვრიტა მრავალი მოვლენა მუშათა კლასის მდგომარეობის განვითარებისა ინგლისში და გააკეთა განსაცვიფრებელი პროგნოზები. როგორც ლენინი მიუთითებს: „ენგელსმა **პირველმა** სთქვა, რომ პროლეტარიატი **არა მარტო** დატანჯული კლასია; რომ სწორედ ის სამარცხვინო ეკონომიური მდგომარეობა, რომელშიაც პროლეტარიატი იმყოფება, შეუჩერებლად ჰკრავს ხელს წინსვლისაკენ და აიძულებს მას იბრძოლოს თავისი საბოლოო განთავისუფლებისათვის, ხოლო მებრძოლი პროლეტარიატი **თავისთავს თვითონ უშველის**“.[2]

ენგელსის მეცნიერული წინასწარგანჭვრეტა სავსებით დაადასტურა მოვლენების შემდგომმა განვითარებამ. მარქსი უაღრესად აღფრთოვანებული იყო ამ გარემოებით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ენგელსის მიერ პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის წინასწარგანჭვრეტა. ჯერ კიდევ მაშინ — 1880-იან წლებში, როცა არასოდეს არ ყოფილა ისტორიაში ნამდვილი მსოფლიო ომი, ენგელსმა საერთაშორისო ეკონომიურ და პოლიტიკურ მოვლენათა და კლასთა ბრძოლის გასაოცარი ზუსტი მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მთელი სამი ათეული წლით ადრე იწინასწარმეტყველა 1914-18 წ. წ. იმპერიალისტური ომის აუცილებლობა. კიდევ მეტი. ენგელსმა შესანიშნავად დახატა სამი ათეული წლის შემდეგ მოსალოდნელი ამ ომის მიმდინარეობა, გენიალურად განსაზღვრა ამ ომის ხანგრძლივობა, და, რაც მთავარია, მისი შედეგები — სახელდობრ ის, რომ ეს ომი დამთავრდებოდა სადმე პროლეტარიატის აუცილებელი გამარჯვებით.

აი რას სწერდა ენგელსი 1887 წელს:

„პრუსიისა ანუ გერმანიისათვის ახლა უკვე შეუძლებელია სხვა, რომელიმე ომი, გარდა მსოფლიო ომისა. ამავე დროს, ეს მსოფლიო ომი იქნება წინათ უნახავი მოცულობისა და უმაგალითო სიძლიერისა. რვიდან ათ მილიონამდე ჯარისკაცი შეუდგება ერთმანეთის ხოცვას და ამასთან მთელი ევროპის იმ ზომამდე ბირწმინდად განადგურებას, როგორც არასოდეს ურიცხვ კალიას არ გაუნადგურებია. ოცდაათწლიანი ომით გამოწვეულ აოხრებას ახლა უკვე 3-4 წლის ბრძოლა მოიტანს და ის მთელ კონტინენტზე გავრცელდება; შიმშილი, ეპიდემია, მწვავე გაჭირვებით გამოწვეული გაველურება როგორც ჯარებისა, ისე ხალხთა მასებისა, ჩვენი ხელოვნური მექანიზმის უიმედო არეულ-დარეულობა ვაჭრობასა, მრეწველობასა და საკრედიტო საქმეში; ყოველივე ამის შედეგად კი საყოველთაო გაკოტრება; ძველი სახელმწიფოებისა და მათი რუტინული სახელმწიფოებრივი სიბრძნის კრახი, — ისეთი კრახი, რომ გვირგვინები ათობით ეყრება ქვაფენილებზე და არავინ იქნება მათი ამღები; აბსოლუტური შეუძლებლობა იმის გათვალისწინებისა, თუ რით გათავდება ყოველივე ეს ან ვინ გამოვა ბრძოლაში გამარჯვებული; აბსოლუტურად უეჭველია მხოლოდ ერთი შედეგი: საყოველთაო დასუსტება და შექმნა პირობებისა მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებისათვის.

ასეთია პერსპექტივა, თუ რომ უკიდურესობამდე მისული სამხედრო შეიარაღების ურთიერთ კონკურენციის სისტემა გამოიღებს, ბოლოს, თავის აუცილებელ შედეგს. აი სადამდე მიიყვანა ბატონო მეფეებო და სახელმწიფოს მესვეურნო, თქვენმა სიბრძნემ ძველი ევროპა. და თუ თქვენ იმის მეტი არაფერი დაგრჩენიათ, გარდა იმისა, რომ დაიწყოთ უკანასკნელი დიდი სამხედრო ცეკვა, — ჩვენ ცრემლებს არ დავღვრით. დაე ომმა თუნდაც უკანასკნელ პლანზე გადაგვისროლოს დროებით, დაე წაგვართვას ზოგიერთი უკვე მოპოვებული პოზიცია. მაგრამ თუ თქვენ აუშვებთ ძალებს, რომელთაც შემდეგში უკვე ვეღარ შეიმაგრებთ, მაშინ, რანაირადაც არ უნდა დატრიალდეს საქმეები, ტრაგედიის დასასრულს თქვენ შეიქმნებით ნანგრევებად, ხოლო პროლეტარიატის გამარჯვება ან უკვე მოპოვებული იქნება, ან ყოველ მიზეზს გარეშე აუცილებელი“.[3]

ფრ. ენგელსის ეს მეცნიერული წინასწარმეტყველება გამართლდა.

ვ. ი. ლენინი უსაზღვროდ აღტაცებული იყო ენგელსის გენიალური წინასწარმეტყველებით. ლენინმა სპეციალური სტატიაც კი უძღვნა ენგელსის ზემოთმოყვანილ სიტყვებს.

„წინასწარმეტყველური სიტყვები“ — ამ სათაურით დაიბეჭდა ლენინის სტატია 1918 წ. 2 ივლისს გაზ. „პრავდაში“.

„**რა გენიალური წინასწარმეტყველებაა!**“ — სწერდა ლენინი ზემოაღნიშნულ სტატიაში... — ზოგი რამ იქიდან, რაც ენგელსმა იწინასწარმეტყველა, სხვანაირად გამოვიდა... მაგრამ ყველაზე უფრო საკვირველი ის არის, რომ ასე ბევრი რამ, ენგელსის მიერ წინასწარ თქმული, სრულდება „თითქოს დაწერილის მიხედვით“ — აი რა მაღალი შეფასება მისცა ლენინმა ენგელსის სიტყვებს. ლენინი აქ ხაზს უსვამს, რომ თითქოს ენგელსმა ისტორიას განვითარება დაუწერა, თითქოს ისტორია აკეთებს იმას, რაც მას ენგელსმა დაუწერა.

ფრ. ენგელსი, ისევე როგორც მარქსი, უდიდესი ინტერესით ადევნებდა თვალყურს რუსეთში მიმდინარე მოვლენებს. მან ჯერ კიდევ 50-იან წლებში სპეციალურად შეისწავლა რუსული ენა და დედნებში, პირველ წყაროებით ეცნობოდა რუსეთის ცხოვრების ყველა დეტალებს.

განსაკუთრებით საინტერესოა ენგელსის მეცნიერული წინასწარგანჭვრეტა რუსეთში სოციალისტური რევოლუციის შესახებ.

ენგელსი და მარქსი, გულდასმით სწავლობდნენ და გამუდმებით ადევნებდნენ რა თვალყურს მუშათა რევოლუციურ მოძრაობას ყველა ქვეყანაში, თანდათანობით მიდიოდნენ იმ აზრამდე, რომ რევოლუციური მოძრაობის ცენტრი დასავლეთიდან გადადიოდა აღმოსავლეთში, — რუსეთში.

მარქსი და ენგელსი ღრმად იყვნენ დარწმუნებული რუსეთში რევოლუციის მოსალოდნელობაში და მის საერთაშორისო მნიშვნელობაში. ეს აზრი განსაკუთრებით განუმტკიცდათ მათ პარიზის კომუნის დამარცხებისა და ინგლისში რეფორმიზმის გამარჯვების შედეგად. ისინი რევოლუციას სულ უფრო და უფრო მოელოდნენ სწორედ რუსეთში.

„მარქსი და ენგელსი, — ამბობს ლენინი, — აღსავსენი იყვნენ მტკიცე რწმენით რუსეთის რევოლუციისა და მისი ძლიერი მსოფლიო მნიშვნელობისადმი. თითქმის ოცი წლის მანძილზე ვხედავთ ჩვენ მათ მიწერ-მოწერაში რუსეთის [illegible].[4]

ენგელსი წინასწარჭვრეტდა, რომ რევოლუციის ინიციატივას აიღებდა რუსეთი, რომ მთელ საერთაშორისო მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში რუსეთი **პირველი** გამოვიდოდა რევოლუციის პრაქტიკულად განხორციელების გზაზე, რომ რუსეთი პირველი „**ჩაერთოდა ცეკვაში**“. 1875 წლის 15 ოქტომბერს ა. ბებელისადმი წერილში ენგელსი წინასწარმეტყველურად სწერდა: „**დანამდვილებით მგონია, რომ ამჯერად რუსეთი პირველი დაიწყებს ცეკვას**“.[5] ასეც მოხდა. რუსეთის პროლეტარიატმა **პირველმა** გაარღვია იმპერიალიზმის ფრონტი, რუსეთი გახდა სოციალისტური რევოლუციის **პირველი ქვეყანა**. ბრწყინვალედ დადასტურდა ენგელსის წინასწარმეტყველება.

მეტად საგულისხმოა ენგელსის მიერ კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნის წინასწარგანჭვრეტა.

პარიზის კომუნის დახმარების საქმეში პირველი ინტერნაციონალის მიერ სისუსტის გამოჩენის გამო და განსაკუთრებით იმის შედეგად, რომ პირველმა ინტერნაციონალმა ფაქტიურად შესწყვიტა არსებობა, ენგელსი მივიდა ახალი **წმინდა კომუნისტური ინტერნაციონალის** მომავალში შექმნის აუცილებლობის იდეამდე. პირდაპირ განსაცვიფრებელია, რომ მან მთელი ნახევარი საუკუნით ადრე იწინასწარმეტყველა „**წმინდა კომუნისტური**“ ინტერნაციონალის დაარსება.

1874 წლის 17 სექტემბერს ზორგესადმი წერილში ენგელსი აცხადებდა:

„მე ვფიქრობ, რომ შემდეგი ინტერნაციონალი, მას მერე, რაც მარქსის ნაწარმოებნი მთელი რიგი წლების განმავლობაში თავის გავლენას მოახდენენ, **წმინდა კომუნისტური იქნება და უეჭველად წამოაყენებს ჩვენს პრინციპებს**“.[6]

მარქსისა და ენგელსის საქმის დიდ განმგრძობთა — ლენინისა და სტალინის ინიციატივით და ხელმძღვანელობით 1919 წ. დაარსდა კომუნისტური ინტერნაციონალი, რომელიც განუხრელად იცავს მარქს-ენგელს - ლენინ-სტალინის პრინციპებს. აქაც სავსებით დადასტურდა ენგელსის მეცნიერული წინასწარმეტყველება.

დასასრულ აღსანიშნავია ფრ. ენგელსის გენიალური წინასწარმეტყველება კომუნისტური საზოგადოების დაცვის შესახებ, რომელიც მოჰყავს ამხ. ვოროშილოვს თავის სტატიაში „სტალინი და წითელი არმიის მშენებლობა“. ამ სტატიაში ამხ. ვოროშილოვი სწერს:

„... ჯერ კიდევ 1845 წელს ენგელსი ამბობდა: „მოიგონეთ, რა სასწაულებს ახდენდა 1792-1799 წლებში იმ რევოლუციური არმიების ენტუზიაზმი, რომლებიც მხოლოდ ილუზიისათვის, მხოლოდ **მოჩვენებითი სამშობლოსათვის** იბრძოდნენ, და თქვენ უნდა გაიგოთ, თუ რაოდენ ძლიერი უნდა იყოს არმია, რომელიც იბრძვის არა ილუზიისათვის, არამედ რეალური სინამდვილისათვის“...

ეხებოდა რა კომუნისტური საზოგადოების დაცვას, იგი აცხადებდა:

„... ასეთი საზოგადოების წევრმა ომის შემთხვევაში... უნდა დაიცვას **ნამდვილი** სამშობლო, **ნამდვილი** კერა... იგი, მაშასადამე, იბრძოლებს აღფრთოვანებით, სიმტკიცით, სიმამაცით, რომელთა წინაშეც ბზესავით უნდა გაიფანტოს თანამედროვე არმიის მექანიკური გამოწვრთვნილობა“ (მარქს-ენგელსი, თხზ. ტ. III, გვ. 278).

... წითელმა არმიამ ეს დაამტკიცა სამოქალაქო ომის პერიოდში. მან ეს არაერთხელ დაგვანახვა უკანასკნელი წლების განმავლობაში“.[7] და ამას იგი კიდევ უფრო მეტი სიძლიერით დაგვანახვებს მომავალ ბრძოლებში.

განვითარების მეცნიერულ წინასწარგანჭვრეტას ჩვენს ქვეყანაში უაღრესად დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ცნობილია, რომ ჩვენს ქვეყანას წინსვლა უხდება ისტორიაში სრულიად უნახავი, გაუკაფავი გზებით, და აი ეს წინსვლა შეუძლებელი იქნებოდა განვითარების წინასწარგანჭვრეტის გარეშე. ჩვენს ქვეყანას გზას უნათებდა და უნათებს დიდი ლენინისა და დიდი სტალინის მეცნიერული წინასწარგანჭვრეტანი.

ამხანაგი სტალინი არა ერთ ადგილას უსვამს ხაზს წინასწარგანჭვრეტის ამ დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ კომუნიზმის მშენებლობის საქმის ხელმძღვანელობა შეუძლებელია წინასწარხედვის გარეშე.

„**რომ უხელმძღვანელო — საჭიროა წინასწარხედვა**“ — ამხანაგ სტალინის ეს მითითება სახელმძღვანელო პრინციპი უნდა გახდეს თვითეული პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკისათვის. ამის მიღწევა შესაძლებელია ბოლშევიზმის ისტორიისა და თეორიის ღრმად დაუფლებით.

ვ. ესიაშვილი

---

[1] „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 431.

[2] ლენინი. მარქსი-ენგელსი-მარქსიზმი გვ. 54-55.

[3] ციტირებულია ლენინის მიხედვით, ტ. XXIII, გვ. 105-106. ხაზგასმა ჩვენია. ვ. ე.

[4] ლენინი. მარქსი-ენგელსი-მარქსიზმი. გვ. 107-108.

[5] მარქსი და ენგელსი. თხზ. ტ. XXVI, გვ. 403.

[6] მარქსი და ენგელსი. თხზ. ტ. 26, გვ. 374.

[7] კრებული „60 წელი დიდი სტალინის დაბადებიდან“, გვ. 46-47.

საბჭოთა სომხეთის 20 წლისთავი

ბრძოლისა და გამარჯვებათა სახელოვანი 20 წელი

სომეხი ხალხის კულტურა

სომეხი ხალხის კულტურა ისევე უძველესია, როგორც თვით სომეხი ხალხი. ჯერ კიდევ მე-5 საუკუნეში, 406-412 წლებში გამოჩენილმა სომეხმა მეცნიერმა მესროპ მაშტოცმა გამოიგონა სომხური დამწერლობა. ამან სრული გადატრიალება მოახდინა ხალხის ცხოვრებაში. ანბანის გამოგონებას თან მოჰყვა ხალხური კულტურისა და განსაკუთრებით ლიტერატურის დიდი განვითარება.

სომხური კულტურის აღორძინების ახალი ხანა იწყება მე-19 საუკუნეში. სომეხი ხალხის რუს ხალხთან დაახლოებამ დიდად შეუწყო ხელი ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას. ამ პერიოდის ყველაზე გამოჩენილი სომეხი მწერალია ხაჩატურ აბოვიანი, სომეხი ხალხის განმანათლებელი და სომხური ლიტერატურული ენის და ახალი ლიტერატურის ფუძემდებელი.

XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დასაწყისში სომხეთმა წარმოშვა დიდი პოეტი ოვანეს თუმანიანი. ამავე ხანაში მოღვაწეობდა შესანიშნავი კომპოზიტორი კომიტასი.

სომეხი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში სრულიად ახალი ხანა დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. დიდმა წარმატებებმა სამეურნეო მშენებლობის დარგში ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებას მტკიცე მატერიალური ბაზისი შეუქმნეს.

სომხეთში ძველთაგან იყო განვითარებული მეცნიერება. სახელგანთქმულ მატენადარანში (უძველეს ხელნაწერთა სახელმწიფო საცავი) თავმოყრილია 30.000 უძველესი ხელნაწერი. მატენადარანი მეცნიერების ნამდვილი საგანძურია. განხორციელდა სომეხი ხალხის საუკეთესო შვილთა ოცნება—ფართოდ გაიშალა სამეცნიერო მუშაობა სომეხი ხალხის მდიდარი წარსულის და სომხეთის დიდი ბუნებრივი სიმდიდრის შესასწავლად. მეცნიერული მუშაობის ცენტრია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალი. სომხეთში შექმნილია მრავალი სამეცნიერო დაწესებულება — ინსტიტუტები, მუზეუმები, უმაღლესი სასწავლებლები, რომლებშიაც ფართოდ არის გაშლილი კვლევითი სამეცნიერო მუშაობა.

1939 წელს სომეხმა ხალხმა იდღესასწაულა გმირული ხალხური ეპოსის „დავით სასუნელის“ 1000 წლისთავი, რაც მთელმა საბჭოთა კავშირმა აღნიშნა.

დიდი მუშაობა ჩატარდა სომხური ლიტერატურის ისეთ კლასიკოსთა ნაწარმოებების გამოსაცემად, როგორიც მაგალითად: ხაჩატურ აბოვიანი, მიქაელ ნალბანდიანი, ოვანეს ოვანესიანი, ოვანეს თუმანიანი, პროშიანი, პატკანიანი, რაფი, მუსაელიანი, ტერიანი, აკოპ აკოპიანი, ავ. ისააკიანი და სხვები. გამოვიდა კრებული მგზნებარე რევოლუციონერის სურენ სპანდარიანის შესახებ.

უკანასკნელ წლებში სომხეთში გამოიზარდნენ მწერალთა ახალი კადრები, რომლებიც უფროსი თაობის მწერლებთან ერთად ჰქმნიან ახალ სოციალისტურ ლიტერატურას, შესანიშნავი ნაწარმოებები შექმნეს დ. დემირჩიანმა, სტ. ზორიანმა, ნაირი ზარიანმა, სირასმა და სხვ.

უკანასკნელ წლებში გაიფურჩქნა ხელოვნების ყველა დარგი. განსაკუთრებით დიდი მიღწევები აქვს მუსიკას; სომხეთმა წარსულში ბევრი სახელგანთქმული კომპოზიტორი მოგვცა: ქრისტოფორ ყარამურზა, მაკარ ეკმალიანი, კომიტასი, სპენდიაროვი, რომლებიც ახლა მთელ საბჭოთა კავშირში არიან ცნობილნი. დამსახურებული სიყვარულით სარგებლობენ საბჭოთა კომპოზიტორები—ა. ტიგრანიანი, ა. ხაჩატურიანი, ა. სტეპანიანი, ტერ-გევონდიანი და სხვები. საბჭოთა კომპოზიტორებმა გასულ წელს 100-ზე მეტი ნაწარმოები შექმნეს.

დიდი წარმატებები აქვს სახვითი ხელოვნებას. სომხური მუსიკისა და მხატვრობის დიდი წინსვლის მაჩვენებელია სომხეთის საბჭოთა ხელოვნების დეკადა, რომელიც მოსკოვში შედგა 1939 წელს.

საკმარისია გადავავლოთ თვალი ერევანს, ლენინაკანს, რომ ნათელი გახდეს სომხური არქიტექტურის წარმატებანი. მთავრობის სასახლე და ოპერის თეატრი, კინო „მოსკოვი“ და წიგნის სასახლე ერევანში ნათლად გვიჩვენებს, თუ რა მაღალ საფეხურზეა ჩვენი არქიტექტურა.

სომეხი ხალხის კულტურა ავიდა განვითარების ისეთ სიმაღლეზე, რაც ჩვენს ხალხს არ მოსწრებია მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე. და ამ შესანიშნავი წარმატებებისათვის, ამ ბედნიერი ცხოვრებისათვის სომეხი ხალხი თავისი განთავისუფლების 20 წლისთავზე უდიდესი სიყვარულით მიესალმება საყვარელ სტალინს.

ს. ქ. ქარაპეტიანი

სომხეთის კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი.

ლენინაკანი. კიროვის ქუჩა.

საბჭოთა სომხეთის მოწინავე ადამიანები. პირველ რიგში, ქვევით (მარცხნიდან მარჯვნივ) სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ას. აკოფიანი, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სტახანოველი პ. მკრტიჩიანი, სომხეთის გამოჩენილი მწერალი ავ. ისააკიანი, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სტახანოველი ი. ავეტისიანი; მეორე რიგში — ორდენოსანი მხატვარი მარ. სარიანი, ორდენოსანი კომპოზიტორი ა. ტიგრანიანი, რკინიგზელი სტახანოველი, ორდენოსანი აკოფ ჩოფიკიანი; მესამე რიგში—ორდენოსანი კომპოზიტორი ა. ხაჩატურიანი, კამარლუს რაიონის სოფ. დარგალუს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ავ. ავეტიანი (დაჯილდოებული ოქროს დიდი მედლით), აკადემიკოსი აკოფ მანანდიანი, ორდენოსანი კოლმეურნეობის „ანასტავაცის“ თავმჯდომარე მატოს ნალბანდიანი (დაჯილდოებული ოქროს დიდი მედლით).

აყვავებული სოფელი

ა. მარჯანიანი

სომხეთის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი

სომხეთის სოფლის მეურნეობა რევოლუციამდე სახალხო მეურნეობის ყველაზე ჩამორჩენილი დარგი იყო. მიწების 59 პროცენტი ეკუთვნოდა მემამულეებს, მონასტრებს, ხანებს, ბეკებს, სახელმწიფოს. მარტო ეჩმიაძინის და ტატევის მონასტრების ხელში იყო სახნავი მიწების 3 პროცენტი. მხოლოდ ერთ მემამულეს — ხან მაკინსკის ეკუთვნოდა 18 მამული, რაც შეადგენდა 19.218 ჰექტარს. მიწის დამუშავება სწარმოებდა პრიმიტიულად. 1913 წელს მთელს სომხეთში 5000 სახნისი ითვლებოდა. კავი, გაუწმენდავი თესლი — აი მაშინდელი „აგროტექნიკა“. გლეხების 40 პროცენტს არ გააჩნდა გამწევი ძალა, 20 პროცენტს არ ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, ხოლო 25 პროცენტს—ნათესები.

სულ სხვაგვარია დღეს ჩვენი სოფელი. 1029 კოლმეურნეობაში გაერთიანებულია გლეხურ მეურნეობათა 98,3 პროცენტი. კოლმეურნეობებს სამუდამო სარგებლობაში გადაეცა 2.297,8 ათასი ჰექტარი მიწა. 33 მტს-ი ემსახურება კოლმეურნეობათა 80 პროცენტს. მტს-ებს, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებს აქვთ 1400 ტრაქტორი, 247 კომბაინი, 800 საბარგო ავტო, 343 სალეწი და მრავალი სხვა რთული სას.-სამ. მანქანა. ჩამორჩენილი, გაუნათლებელი სომხური სოფელი გადაიქცა მოწინავე საკოლმეურნეო სოფლად, რომელიც შეიარაღებულია მოწინავე ტექნიკით.

ამ 20 წლის განმავლობაში დიდად გაიზარდა კულტურული ნაკვეთების ფართობი. 1919 წელთან შედარებით ნათესების საერთო ფართობი გაიზარდა 5,3-ჯერ, ბამბისა — 26-ჯერ, საკვების ნათესები — 16-ჯერ, ხეხილის ბაღები — 11-ჯერ, ვენახები — 4-ჯერ და ა. შ.

წლითიწლობით იზრდება საკოლმეურნეო დოვლათი. უკანასკნელ ოთხ წელში ფულადი შემოსავალი საშუალოდ თითო კოლმეურნეობაზე გაიზარდა 5-ჯერ. 1939 წელს კოლმეურნეობათა საერთო შემოსავლიდან შრომადღეებზე განაწილებულ იქნა 140 მილ. მანეთი. 1937 წელს სომხეთში იყო 12 მილიონერი კოლმეურნეობა, ახლა კი არის 53. კამარლუს რაიონის სოფ. არტამატის სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობის შემოსავალი შარშან უდრიდა 3.250 ათას მანეთს.

კოლმეურნეები შეძლებულად ცხოვრობენ. კოლმეურნე ხაჩატურ ბაღდოიანმა (კამარლუს რაიონი) შარშან გამოიმუშავა 972 შრომადღე და მიიღო 25.535 მანეთი. ბაღდოიანმა აიშენა ორსართულიანი ქვიტკირის სახლი, რომელიც კულტურულად მოაწყო. მხოლოდ უკანასკნელ წლებში კოლმეურნეებმა მთელს რესპუბლიკაში აიშენეს 59.615 კულტურულად მოწყობილი სახლი.

სტალინური საკოლმეურნეო წესდების ცხოვრებაში გატარებით განმტკიცდა შრომის დისციპლინა. ასე, მაგალითად, 1936 წელს თითო საკოლმეურნეო ოჯახმა საშუალოდ გამოიმუშავა 228 შრომადღე და თითო შრომისუნარიანმა კოლმეურნემ — 105, ხოლო 1939 წელს თითო ოჯახზე მოდის 270 და თითო კოლმეურნეზე 135 შრომადღე.

სოფლის მეურნეობის წარმატებების მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ 1939 წელს სას.-სამ. გამოფენაში მონაწილეობისათვის ლენინის ორდენით დაჯილდოებულია ვაგარშაფატის რაიონის კოლმეურნეობა „ანასტვაცი“, შრომის წითელი დროშის ორდენით — კამარლუს რაიონის სოფ. დარგალუს კოლმეურნეობა „პარიზის კომუნა“, I ხარისხის დიპლომი მიიღო 8 კოლმეურნეობამ, II ხარისხისა — 35, ოქროს დიდი მედლით დაჯილდოებულია 10 და მცირე მედლით — 17 კაცი, ვერცხლის დიდი მედლით — 25 და მცირე მედლით — 129 კაცი.

ვითარდება სოციალისტური მეცხოველეობა. მსხვილფეხა რქიანი საქონლის რიცხვის ზრდა 1920 წელთან შედარებით უდრის 201,5 პროცენტს, ცხენებისა — 296 პროც., ცხვრებისა და თხების — 245 პროც., ღორებისა — 851 პროცენტს. 1021 კოლმეურნეობას აქვს მეცხოველეობის 2-3 ფერმა, ხოლო 845 კოლმეურნეობას დამატებით აქვს მეფრინველეობის ფერმები.

დიდი ყურადღება ექცევა მეხილეობასა და მევენახეობას. ამჟამად სომხეთშია 19.200 ჰექტარი ვენახი, 16.000 ჰექტარი ხეხილის ბაღები.

ფართო გასაქანი მიეცა ჩვენში ტექნიკურ კულტურებს. 1919 წელს სომხეთში მოიკრიფა 3.400 ცენტნერი ბამბა, საშუალო მოსავლიანობა უდრიდა 5,6 ცენტნერს, 1939 წელს სომხეთმა მისცა მრეწველობას 303.000 ცენტნერი ბამბა, საშუალო მოსავლიანობა უდრიდა 19,1 ცენტნერს.

სხვა ტექნიკური კულტურებიდან აღვნიშნავთ გერანს, რომელმაც 1939 წელს სომხეთის სოფლის მეურნეობას მისცა 2 მილ. მან. შემოსავალი.

1935 წლიდან სომხეთში შემოვიდა ახალი კულტურა — შაქრის ჭარხალი.

ჩვენი კოლმეურნეები დიდი კმაყოფილებით აჯამებენ 20 წლის მანძილზე ჩატარებულ მუშაობას. ისინი გრძნობენ ლენინ-სტალინის პარტიის ყოველდღიურ დახმარებას დიდი სტალინის მამობრივ ზრუნვას და მზად არიან ურყევად შეასრულონ პარტიის ყოველი მითითება, მკერდით დაიცვან თავისი მშობლიური საბჭოთა წესწყობილება, რომელმაც საუკუნეობით განაწამებ ხალხს მოუტანა ბედნიერი, მშვიდობიანი ცხოვრება.

მკრტიჩ კორიუნი

დიდება სტალინს

ამობრწყინდა მზე შუქმფენი
და მოქარგა მხარე ჩვენი,
ეს ცხოვრება მოსალხენი
შენ გვაჩუქე, დიდო სტალინ!
გაგვითენე დღე ნათელი,
დასამარდა, გაქრა მტერი,
და მადლობის ჰანგს ვუმღერით
ვინც შენ გზარდა, დიდო სტალინ!
მჩაგვრელს ვხედავთ დამიწებულს,
მშრომელებს კი — ბედით შვებულს,
შენი მზის ქვეშ აყვავებულს
დიდ სამშობლოს ვუმღერთ, სტალინ!
შენ რომ შეჰქმენ მტკიცე ხელით
ახალ ყოფის საფუძველი, —
გვაქვს კანონი ურყეველი, —
მას ვადიდებთ, ბრძენო სტალინ!
ძველ ცხოვრების მძიმე წყლული
შენ გაჰკურნე — საქმით ბრძნულით
და ჩვენს ქოხებს სიხარული
მოუტანე, დიდო სტალინ!
ჩვენს ცას მზე აქვს შუქმფენ თალად,
ჩვენ ცხოვრება გვექცა ბაღად:
შიგ ჰანგი რომ მოსჩქეფს ლაღად —
შენს სიბრძნეზე ვმღერით, სტალინ!
ზღვა შეერთდა ზღვასთან ვრცელი,
გაიფურჩქნა მთა და ველი
და სიცოცხლე სანატრელი
შენ შეჰქმენი ჩვენთვის, სტალინ!
დე, გმირული საქმე შენი
და საბჭოთა მხარე მშვენი —
მარად იყოს სხივთა მფენი
ყველა ქვეყნის, მზეო სტალინ!
ლაღ ცხოვრების გაზაფხული
იფურჩქნება ჩვენთვის სრული,
სავსე თასით, სავსე გულით
ვსვამთ შენს სადღეგრძელოს, სტალინ!

თარგმანი **სიკო ფაშალიშვილისა**

რიფსიმე პოღოსიანი

საბჭოთა სომხეთს

რა სიყვარულის რა წყარო
ხარ, მხარევ ჩემო მშობელო!
გამარჯვებული ნარნაროს
ყოველმხრივ შესამკობელო.

ტურფა ხარ ათასწლოვანი,
დაუჭკნობელი მარადა,
ზღაპრულად სახელოვანი
შვილების გასახარადა.

შენ ბრძოლამ როდი დაგძალა
დიდი სისხლით და ფასითა,
შენ უკვდავებას და ძალას
მამაცი ხალხი გასმიდა.

კინაღამ გძლია ქარბუქმა,
როს შენი გული იწოდა,
ოქროსთმიანმა ჰაბუკმა
ხელები გამოგიწოდა.

აყვავდა შენი ნალარა
სიცოცხლის გახანგრძლივებით,
მზემ თავზე გადმოგაყარა
ულამაზესი მძივები;

ვერცხლისფრად შეაფერადე
მთები და მთის მწვერვალები,
ვიშ, რა რიგ შვენით მკერდამდე
ზურმუხტოვანი ჰალები!

ველებზე ნაზად ბიბინებს
თავთავაყრილი ყანები,
ფირუზოვანი ცა გხურავს
მარადის სათაყვანები.

მაგ წიაღიდან სისხლივით
ტუფის ქვა ამოალაგეს,
მისი ელვარე სხეულით
აგებენ სოფელ-ქალაქებს.

მაგ წარბებივით მოხრილი
მარმარილოთა ძარღვებით
მორთულან ნაგებობათა
გაბრწყინვებული თაღები.

ბარაქიანი სიუხვით
დღეს შენი სუფრა გავსილა,
მამაცი შენი შვილები
ღვინოსაც სვამენ თასითა.

დედაშვილური ალერსი
მათი შენ გამოგეკიდა
და შენ გიცავენ ხალისით
თავის მამაცი მკერდითა.

რა სიყვარულის რა წყარო
ხარ, მხარევ ჩემო მშობელო!
გამარჯვებული ნარნაროს
ყოველმხრივ შესამკობელო.

თარგმანი **ბ. აბულაძისა**

ყურძნის კრეფა კოლმეურნეობა „არარატში“ (ვედინის რაიონი).

ა. ს. ფირუზიანი

სომხეთის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

ოცი წელი

20 წელი გავიდა იმ ისტორიული დღის შემდეგ, რაც სომხეთის მშრომელებმა რუსეთის პროლეტარიატის ძმური დახმარებით დაამხეს დაშნაკთა ბატონობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. ამ დღიდან დაიწყო სომხეთის ახალი ისტორია, მისი აღორძინება.

საბჭოთა სომხეთმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა მოძმე ხალხებთან თანამშრომლობით, ამ ორი ათეული წლის განმავლობაში მოიპოვა უდიდესი წარმატებები, რომელთა შესახებ წარსულში სომეხ ხალხს ოცნებაც არ შეეძლო.

ცნობილია გზა, რომელიც სომეხმა ხალხმა გაიარა თავისი მრავალსაუკუნიანი ისტორიის მანძილზე. ევროპისა და აზიის მიჯნაზე მდებარე სომხეთი საუკუნეთა განმავლობაში არაერთხელ იყო დარბეული მისი მიწა მრავალჯერ გადალახეს მტაცებელთა ურდოებმა, რომლებიც ძარცვავდნენ ხალხს, არბევდნენ ქალაქებსა და სოფლებს. ხან სპარსელები აპარტახებდნენ ჩვენს ქვეყანას, ხან სელჯუკები და რომაელები, მონღოლები და არაბები, მაგრამ სომხეთის მშრომელებს არასდროს არ განუცდიათ ისეთი დამცირება და დამონება, რაც მათ ხვდათ წილად დაშნაკური ხელისუფლების ხანმოკლე პერიოდში. ერთადერთი გამოსავალი იყო სომხეთში საბჭოთა წესწყობილების დამყარება. ამაზე ოცნებობდნენ სომხეთის მშრომელები.

რაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა გადავარჩინოთ სომხეთი, სასწრაფოდ უნდა გადავარჩინოთ სომხეთი—ასეთი მოთხოვნილება წამოაყენა ამხანაგმა სტალინმა 1920 წლის 9 ნოემბერს ბაქოში.

და აი, ბოლშევიკების პარტიამ, მიუხედავად სხვადასხვა ჯურის მტრების—დაშნაკების, რეაქციული კლერიკალების და სხვათა წინააღმდეგობისა, დარაზმა სომხეთის მშრომელები გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

სომხეთის მუშებმა და მშრომელმა გლეხებმა დიდი რუსი ხალხის, ლეგენდარული XI არმიის დახმარებით, ლენინისა და სტალინის თანამებრძოლების ს. ორჯონიკიძის, ს. კიროვის და ა. მიქოიანის ხელმძღვანელობით დაამხეს დაშნაკთა მთავრობა და აღმართეს საბჭოთა ხელისუფლების დროშა. გაათავისუფლეს რა ქვეყანა დაშნაკთა ბატონობისაგან, სომხეთის ბოლშევიკები შეუდგნენ ხალხის გადარჩენას შიმშილისა და ეპიდემიებისაგან. ამისათვის უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო ძმური, მეგობრული კავშირის დამყარება ამიერ-კავკასიის ხალხებთან; ბოლო უნდა მოეღებოდა იმ უნდობლობასა და მტრობას, რომლებიც დაშნაკებმა, მენშევიკებმა და მუსავატისტებმა ხელოვნურად შექმნეს ამ ხალხთა შორის.

გენიალური სტალინის, მისი თანამებრძოლების ს. ორჯონიკიძის, ს. კიროვისა და ა. მიქოიანის უშუალო ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკა—საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი — გაერთიანდა ამიერკავკასიის ფედერაციაში. ამ გაერთიანებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სამი მოძმე რესპუბლიკის კავშირის განმტკიცებისათვის, მათი შემდგომი განვითარებისა და აყვავებისათვის.

და მართლაც, ამ დღიდან დაიწყო ჩვენი ქვეყნის აღმავლობა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 1940 წლამდე ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დაბანდებულია 1.959.4 მილ. მანეთი; აქედან ერთი მილიარდი მოდის მეორე ხუთწლედზე. ამას რომ მივუმატოთ 1940 წლის დაბანდება, რაც დაახლოებით 322 მილიონს უდრის. მაშინ 20 წლის განმავლობაში სომხეთის სახალხო მეურნეობაში კაპიტალური დაბანდება მიაღწევს 2.281 მილიონ მანეთს.

ამ კოლოსალურმა დაბანდებამ შესაძლებლობა მოგვცა ძირფესვიანად გარდაგვექმნა ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკა. ცნობილია, რომ ცარიზმისა და დაშნაკების ბატონობის პერიოდში სომხეთის მრეწველობას წარმოადგენდნენ მხოლოდ მექანიკური ქარხანა, ტყავის დასამზადებელი სახელოსნოები, შუსტოვის კონიაკის ქარხანა, კაფანისა და ალავერდის სპილენძის საბადოები, რომლებსაც ფრანგი კაპიტალისტები ბარბაროსულად ამუშავებდნენ.

საბჭოთა წესწყობილების დროს სომხეთი ისტორიულად ხანმოკლე პერიოდში გადაიქცა ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად მრავალი საწარმოებით, მოწინავე მექანიზებული სოფლის მეურნეობით, აყვავებული კულტურითა და ხელოვნებით. ამ 20 წელში აშენდა 50-ზე მეტი ფაბრიკა-ქარხანა ჩვენ ვამაყობთ კიროვის სახელობის სამრეწველო კომბინატით, ლენინაკანის საფეიქრო, ხორცის და კიროვაკანის ქიმიური კომბინატებით, მრავალრიცხოვანი ფაბრიკებითა და ქარხნებით. მთელი მრეწველობის საერთო შემოსავალი 20 წლის განმავლობაში გაიზარდა 234-ჯერ. წელს მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა მთელს სახალხო მეურნეობაში შეადგენს 79 პროცენტს.

განსაკუთრებით დიდია ჩვენი მიღწევები ელექტროფიკაციის დარგში. ამ ორი ათეული წლის განმავლობაში ელექტროენერგეტიკულ მშენებლობაში დაბანდებულია 255 მილ. მანეთი. 1919 წელს მოსახლეობის სულზე მოდიოდა 2,4, ხოლო ახლა—257,6 კილოვატსაათი. აშენდა მძლავრი ჰიდროსადგურები: ძორაჰესი, ლენჰესი, კანაკირჰესი, ორი ერჰესი და 21 ჰიდროსადგური სასოფლო რაიონებში.

კიდევ უფრო ბრწყინვალეა ჩვენი რესპუბლიკის ელექტრომეურნეობის მომავალი. მახლობელ წლებში ჩვენ ავაშენებთ მთელ რიგ ახალ ჰიდროსადგურებს, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება სახალხო მეურნეობის ახალი, უმაგალითო აღმავლობისათვის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა უკავია ჩვენს მეურნეობაში სპილენძის მრეწველობას. ბოლო მოეღო ამ დიდმნიშვნელოვანი საბადოების ბარბაროსულ ექსპლოატაციას. ახლა კაფანის და ალავერდის საბადოებში მადნის ამოღება მექანიზებულია, აშენდა ახალი მეტალურგიული ქარხანა და სხვ. მადნის ამოღება და სპილენძის გამოდნობა დიდად გაიზარდა. 1939 წელს, შედარებით 1937 წელთან, სპილენძის გამოდნობა გაიზარდა 35 %-ით, ამავე პერიოდში ერთი მუშის ნაყოფიერება გადიდდა 49 პროცენტით და საგრძნობლად შემცირდა კონცენტრატის თვითღირებულება. გეოლოგიურმა კვლევამ აღმოაჩინა სპილენძის და მოლიბდენის ახალი საბადოები.

სწრაფად იზრდება ჩვენი ქიმიური მრეწველობა, ყველაზე ახალგაზრდა დარგი მრეწველობისა, რომელიც უკანასკნელ 3-4 წელში შეიქმნა.

დიდი მიღწევები გვაქვს მრეწველობის სხვა დარგებში, განსაკუთრებით კვების მრეწველობის დარგში, რომლის ხვედრითი წონა მთელი რესპუბლიკის მრეწველობაში 40 პროცენტს შეადგენს.

დიდი მუშაობა ჩატარდა საქალაქო მშენებლობის დარგში. სომხეთის დედაქალაქი ერევანი საფუძვლიანად გარდაიქმნა. ქოხმახების ადგილას აშენებულია მრავალსართულიანი სახლები, ფაბრიკები და ქარხნები, კულტურული დაწესებულებები. ქუჩები და მოედნები ასფალტირებულია. სომხეთის დედაქალაქი ჩადგა საბჭოთა კავშირის კეთილმოწყობილი და ლამაზი ქალაქების რიგში. ერევანში ახლა ცხოვრობს 200 ათასზე მეტი კაცი, ე. ი. 7-ჯერ უფრო მეტი, ვიდრე ცარიზმისა და დაშნაკების დროს.

სომხეთის დედაქალაქი დაფარულია კულტურულ დაწესებულებათა ხშირი ქსელით: 42 საშუალო სკოლა, 20 ტექნიკუმი, 10 უმაღლესი სასწავლებელი, 43 სამეცნიერო დაწესებულება, სადაც 800 მეცნიერი მუშაკი მუშაობს. სამეცნიერო დაწესებულებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სომხეთის ფილიალს. მაგრამ მთელი რესპუბლიკის სიამაყეს წარმოადგენს მატენადარანი (უძველეს ხელნაწერთა საცავი), საჯარო ბიბლიოთეკა, ოპერისა და ბალეტის თეატრი.

დიდი საამშენებლო სამუშაოები ჩატარდა აგრეთვე ლენინაკანსა და კიროვაკანში. ეს პატარა სამაზრო ქალაქები ახლა რესპუბლიკის მსხვილი სამრეწველო და კულტურული ცენტრებია. გამოიცვალეს სახე სარაიონო ცენტრებმა, რომლებიც გადაიქცნენ კეთილმოწყობილ დაბებად მრავალსართულიანი სახლებით, პარკებით, კულტურული კერებით და სხვ.

უმაგალითოდ გაიფურჩქნა და გაიზარდა სოფლის მეურნეობა, რომლის განვითარებისათვის სახელმწიფომ ამ 20 წელში 559 მილიონი მანეთი დააბანდა. გლეხობის 98,3 პროცენტი გაერთიანებულია კოლმეურნეობებში, რომლებსაც სამუდამო მფლობელობაში გადაეცათ ვარგისი მიწის 98.9 პროც. ჩვენი სოფლის მეურნეობის წარმატების საუკეთესო მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ 1940 წელს საკავშირო-სასოფლო სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობდა 407 კოლმეურნეობა, 107 სარძეო-სასაქონლო ფერმა, 2 მტს-ი, 5 რაიონი და 4.000-ზე მეტი მოწინავე კოლმეურნე. ჩვენს რესპუბლიკაში 53 მილიონერი კოლმეურნეობაა.

რესპუბლიკის ეკონომიური აღორძინების საფუძველზე აყვავდა კულტურა. რევოლუციამდე სახალხო განათლება სომხეთში უნუგეშო მდგომარეობაში იყო. სომხეთს არ ჰქონდა არცერთი უმაღლესი სასწავლებელი. 1914-15 წლებში არსებობდა 113 სკოლა, რომლებშიც სწავლობდა 1146 ბავშვი, რასაკვირველია მდიდრების შვილები.

საბჭოთა ხელისუფლებამ ხალხს მოუპოვა საყოველთაო განათლება, აშენდა 957 სკოლა, აქედან სოფლად—888. ახლა ჩვენს ქვეყანაში არ არის არცერთი სოფელი უსკოლოდ. სულ რესპუბლიკაში 1147 სკოლაა, რომლებშიც 320.227 მოწაფე სწავლობს, 17 უმაღლესი სასწავლებელია, 68 ტექნიკუმი და სხვ.

ბევრი რამ გაკეთდა სახალხო ჯანმრთელობის დარგში. 1919 წელს სომხეთში მხოლოდ 16 საავადმყოფო იყო. 1939 წელს ჩვენ გვქონდა 63 საავადმყოფო, რამდენიმე ათეული სამშობიარო სახლი, 147 პოლიკლინიკა და საექიმო წერტი.

სომხეთის სს რესპუბლიკის უდიდესი წარმატებები უპირველეს ყოვლისა მიღწეულია იმ დიდი ყურადღებისა და ზრუნვის შედეგად, რომელსაც მუდამ იჩენდა და იჩენს ჩვენი ქვეყნისადმი ლენინ-სტალინის დიადი პარტია, საბჭოთა კავშირის უძლეველი მთავრობა და პირადად ამხანაგი სტალინი.

ეს მიღწევები კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ წარსულში ჩვენს ხელმძღვანელ აპარატებში არ გამძვრალიყვნენ ტროცკისტულ-ბუხარინული, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ნაძირალები, რომლებიც ცდილობდნენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ძირის გამოთხრას. მაგრამ დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, მისი სახელოვანი თანამებრძოლების ა. მიქოიანისა და ლ. ბერიას მეთაურობით სომეხმა ბოლშევიკებმა საბოლოოდ გაანადგურეს ხალხის მტრები და საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მიაღწიეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაგალითო აყვავებას.

ახლა საბჭოთა სომხეთის წინაშე კიდევ უფრო დიდი ამოცანები დგას. სომეხმა ხალხმა კონკრეტული საქმეებით უნდა უპასუხოს სსრკ სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1940 წლის 7 სექტემბრის დადგენილებას სომხეთში მეხილეობის, მევენახეობისა და ტექნიკური კულტურების განვითარების ღონისძიებათა შესახებ. ამ დადგენილების განხორციელების შედეგად 1944 წლის დამლევისათვის სარწყავი მიწების ფართობი გაიზრდება 54 ათას ჰექტარით, გაშენდება 15.000 ჰექტარი ვენახი, 20.000 ჰექტარი ხეხილის ბაღები, 4.000 ჰექტარით გაფართოვდება ბამბის პლანტაციები, 5,5 ათასით თამბაქოსი, 2,4 ათასი ჰექტარით—შაქრის ჭარხლის ნათესები. იმავე დროს საგრძნობლად გაიზრდება მოსავლიანობა.

სსრკ სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლა ჩვენთვის დიდი პოლიტიკური გამოცდაა. სომხეთის ბოლშევიკებმა და მთელმა სომეხმა ხალხმა არაერთხელ დაუმტკიცეს ლენინ-სტალინის პარტიას თავისი უსაზღვრო ერთგულება. თავისი მზადყოფნა ურყევად გაატაროს ცხოვრებაში პარტიის ყველა დავალება გვჯერა, რომ ჩვენი ხალხი ამ გრანდიოზულ პროგრამასაც წარმატებით განახორციელებს.

ზეიმობს რა განთავისუფლების 20 წლის თავს საბჭოთა სომხეთის ხალხი თავისი ერთგულებისა და სიყვარულის პირველ სიტყვებს მიმართავს ბოლშევიკების დიად პარტიას და მის გენიალურ ბელადს დიდ სტალინს, რომელმაც გაათავისუფლა ჩვენი ხალხი დაშნაკების მძიმე უღლისაგან და რომლის მამობრივი მზრუნველობით სომხეთი უმოკლეს ვადაში გადაიქცა ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნად, დიადი საბჭოთა კავშირის ერთერთ აყვავებულ რესპუბლიკად.

დღეს სომეხი ხალხი, რომელიც სსრკ ხალხთა დიდ ოჯახში სჭედავს თავის ბედნიერებას, მტკიცედ არის დარაზმული ლენინ-სტალინის დიადი პარტიის, საბჭოთა მთავრობის და გენიალური სტალინის გარშემო. ჩვენი ხალხი მზად არის პარტიის, მთავრობისა და დიდი სტალინის პირველ დაძახებისთანავე, როგორც ერთი კაცი, აღსდგეს საბრძოლველად საბჭოთა სამშობლოსათვის, კომუნიზმისათვის.

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 23 ნოემბერი (საკდესი). უმაღლესი სარდლობა იუწყება: „21 ნოემბერს, ღამით გერმანიის ავიაცია განაგრძობდა ოპერაციებს ლონდონის წინააღმდეგ და კვლავ თავს დაესხა ბირმინჰამს, კოვენტრს, ბრისტოლსა და საუთჰემპტონს. დღისით გერმანიის ავიაცია კვლავ ესხმოდა თავს ლონდონს, ბრაიტონსა და სამხედრო თვალსაზრისით სხვა მნიშვნელოვან ობიექტებს. ცენტრალურ ინგლისში ყუმბარა დავაყარეთ რამდენიმე აეროდრომს. ანგარებსა და თავშესაფრებში ხანძარი გაჩნდა. ძლიერ დავუშინეთ ყუმბარა რკინიგზის ნაგებობებსაც სამხრეთ აღმოსავლეთ ინგლისში და ლინკოლნის მახლობლად. ზღვაში გერმანიის ავიაციამ მძიმედ დააზიანა ორი სატვირთო გემი. 22 ნოემბერს, ღამით, ინგლისის თვითმფრინავებმა კვლავ დაუშინეს ყუმბარა საცხოვრებელ უბნებს დასავლეთ საფრანგეთში და დასავლეთ გერმანიაში. გაჩნდა ხანძარი, რაც მალე ჩავაქრეთ. მოკლულია 7 და დაიჭრა 20-მდე კაცი. ჩამოგდებულია ინგლისის ერთი ყუმბარმშენი; გერმანიის ავიაციამაც ერთი თვითმფრინავი დაჰკარგა“.

ბერლინი, 23 ნოემბერი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, გუშინ, საღამოს, გერმანიის ავიაცია დიდი წარმატებით კვლავ დაესხა თავს ბირმინჰამს. ქალაქში ხანძარი დაიწყო. ტრანსპორტის მოძრაობა დარღვეულია. მრავალი ქარხნის შენობა დანგრეულია.

22 ნოემბერს, ღამით, ბირმინჰამზე თავდასხმის დროს ყველა ყალიბის ყუმბარა დავაყარეთ სამხედრო ქარხნებს, რომლებიც წინა ბომბარდირებისაგან ჯერ კიდევ არ დაზარალებულიყვნენ. ინგლისის საზენიტო არტილერიის მოქმედება რომ დაგვებრკოლებინა, ცალკეული ყუმბარმშენების თავდასხმას დიდი შენაერთების მასობრივი იერიშები სცვლიდა. ამ თავდასხმის დროს პირველი შემთხვევა იყო, რომ ყუმბარას მასობრივად ვუშენდით დაბალი ფრენის დროს. გუშინ ნაშუადღევს გერმანიის შორსმსროლელმა ქვემეხებმა დაუშინეს ლონდონის სამხრეთ აღმოსავლეთით მდებარე მნიშვნელოვან სამხედრო ობიექტებს.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 23 ნოემბერი (საკდესი). ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ 22 ნოემბერს, ღამით, ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს გერმანიის მთელ რიგ ობიექტებს.

მტრის ავიაციამ გუშინ ყუმბარები დააყარა ლონდონის ერთ-ერთი მეზობელი საგრაფოს სოფელს და ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ერთერთ ქალაქს. დაზიანებულია საცხოვრებელი სახლები. მსხვერპლი დიდი არ არის. ჩამოგდებულია გერმანიის ორი ყუმბარმშენი.

22 ნოემბერს, ღამით, გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს ცენტრალური ინგლისის დასავლეთ ნაწილში. დანგრეულია მრავალი შენობა. არიან მოკლულნი და დაჭრილნი. მრავალ ადგილას ხანძარი გაჩნდა, რაც მალე ლიკვიდირებულ იქნა. ლონდონზე და მდინარე მერსეის ხეობისა და სამხრეთ ინგლისის ქალაქებზე თავდასხმას მნიშვნელოვანი ზარალი არ გამოუწვევია. მსხვერპლიც დიდი არ არის.

ინგლისელი კორესპონდენტები გერმანიის ავიაციის მაშველი სამსახურის მუშაობის შესახებ

ლონდონი, 22 ნოემბერი (საკდესი). როგორც ინგლისური გაზეთების კორესპონდენტები იუწყებიან, გერმანელებმა ტივების სპეციალური ლუზიანი სადგომი მოაწყეს საფრანგეთის სანაპიროს იმ რაიონში, სადაც, ვარაუდით, უფრო ხშირად ვარდება გერმანიის ის თვითმფრინავები, რომლებიც ინგლისში დაზიანდნენ და უკან ბრუნდებიან. თვითეულ ტივზე, რომლის სიგრძე დაახლოებით 40 ფუტს უდრის, არის სურსათის მარაგი და რეზინის ორი ნავი. მფრინავებს მითითება აქვთ მიცემული, რომ, იმ შემთხვევაში, თუ მათი თვითმფრინავი დაზიანდა, თავი აარიდონ იძულებით ძირდაშვებას ინგლისში. ისინი ყველანი უნდა ცდილობდნენ მიაღწიონ იმ რაიონს, სადაც მოწყობილია ტივების ლუზიანი სადგომი, ჩამოგდებული თვითმფრინავების ეკიპაჟის წამოსაყვანად იქ დროდადრო მოფრინავენ გერმანიის ჰიდროპლანები.

საბერძნეთის ჯარი კორჩაში შევიდა

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ათენელი კორესპონდენტის ცნობით, საბერძნეთის ჯარი კორჩაში შევიდა. იტალიელები მალიკის ტბის ჩრდილოეთით მდებარე რაიონისაკენ იხევენ. საბერძნეთის კავალერიასა და ქვეითს ჯარს არგიროკასტრონის რაიონში იერიში მიაქვთ უკანდახეულ იტალიელებზე, ამასთან ისინი იყენებენ იტალიის იმ ტანკებსა და მოტოციკლებს, რომლებიც მათ ხელთ იგდეს. იტალიელთა მექანიზებულ ნაწილებს ბერძნებმა დაუპირისპირეს მობილური რაზმები, რომლებიც მთიან ადგილებში და ვიწრო ხეობებში დამოუკიდებლად მოქმედებენ და თავს არიდებენ გაშლილ ველზე იტალიელებთან შეტაკებას. ბერძნები არგიროკასტრონს ემუქრებიან.

იაპონიის მინისტრთა კაბინეტის სხდომა

ტოკიო, 22 ნოემბერი (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ დღეს მინისტრთა კაბინეტის სხდომას საგეგმო პალატის თავმჯდომარე ხოსინომ მოახსენა მომავალი წლისათვის იაპონიის რესურსების მობილიზაციის ახალი გეგმა. გათვალისწინებულია არმიისა და ფლოტის შეიარაღების სასწრაფო გაძლიერება, შეიარაღების საგნების წარმოების დაჩქარება და სამხედრო მრეწველობის ძლიერების გადიდება, აგრეთვე ქვანახშირისა და რკინის წარმოების გადიდება. პირველი საჭიროების საქონელი უკანასკნელ რიგში დამზადდება.

გაზეთი „დაგუნბაო“ საფრანგეთის ინდო-ჩინეთში იაპონელთა მოქმედების შესახებ

ჩუნცინი, 22 ნოემბერი (საკდესი). გაზეთი „დაგუნბაო“ იუწყება, რომ ხაიფონში (საფრანგეთის ინდო-ჩინეთი) იაპონიის 200-ზე მეტი თვითმფრინავი იმყოფება. როგორც გადმოგვცემენ იაპონელები ემზადებიან იმისათვის, რომ დესანტი გადასხან კამრანის ყურეში.

დაპატიმრება ინდოეთში

ლონდონი, 22 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ინდოეთის დაცვის კანონის საფუძველზე დააპატიმრეს ცენტრალური პროვინციების ყოფილი პრემიერ-მინისტრი შუკლა.

ინდოეთში სამოქალაქო ურჩობის კამპანიის ცნობილ მონაწილეებიდან ეს მეცხრე კაცია დაპატიმრებული.

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ დააპატიმრეს ბომბეის პროვინციის ყოფილი პრემიერ-მინისტრი განგადხარ კხერი.

ლონდონი, 22 ნოემბერი (საკდესი). კემბრიჯის უნივერსიტეტში შესდგა სტუდენტების სხვადასხვა საზოგადოებათა წევრების მასობრივი მიტინგი, რომელზედაც ერთხმად მიიღეს საპროტესტო რეზოლუცია ნერუს და ინდოეთის ნაციონალური კონგრესის სხვა მოღვაწეთა დაპატიმრების წინააღმდეგ. რეზოლუციით მოითხოვენ დაპატიმრებულთა დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

ლონდონი, 22 ნოემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ინგლისის ხელისუფლებამ ინდოეთში დააპატიმრა პროვინციული მთავრობათა 5 ყოფილი მინისტრი.

საფრანგეთის სახაზო გემი ინგლისელებს დანებდა

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ალხესირასიდან (ესპანეთი) იუწყება, საფრანგეთის „პარიზის“ ტიპის სახაზო გემი 22.189 ტონა წყალწყვისა გიბრალტარში შევიდა და ინგლისელებს დანებდა.

სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ომის დასაწყისში საფრანგეთს ასეთი ტიპის ორი სახაზო გემი ჰყავდა — „პარიზი“ და „კურბე“.

რეიტერის სააგენტო უარჰყოფს

ლონდონი, 22 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ, ავტორიტეტული წყაროებიდან მიღებული ცნობებით, საზღვარგარეთ გამოქვეყნებული ცნობები — საფრანგეთის სამხედრო გემი გიბრალტარში შევიდა და ინგლისის ხელისუფლებას დანებდაო, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. როგორც ეტყობა, ამ ცნობებში დამახინჯებულია ის ფაქტი, რომ საფრანგეთის ერთი გემი, რომელზედაც იმყოფებიან სამშობლოში დაბრუნებული ფრანგები, მარსელს მიდის. შესაძლებელია, რომ ეს გემი გიბრალტარში შევიდა.

ქალაქების ჩაბნელება თურქეთში

სტამბოლი, 22 ნოემბერი (საკდესი). გუშინ სტამბოლში და თურქეთის სხვა ქალაქებში ჩაბნელება ჩაატარეს. ყველა ქუჩაში, მოედნებზე და ნავსადგურში სინათლე ჩააქრეს. სრული ჩაბნელებისათვის კერძო სახლების მომზადება 1 დეკემბრისათვის უნდა დამთავრდეს. ამ დღეს სრული ჩაბნელება ჩატარდება.

თურქეთის გზათა ახალი მინისტრი

ანკარა, 22 ნოემბერი (საკდესი). ანატოლიის სააგენტოს ცნობით, თურქეთის გზათა მინისტრი ალი ჩეტინკაია ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობის გამო გადადგა. გზათა ახალ მინისტრად დაინიშნა მეჯლისის დეპუტატი ინჯედაი.

ბერლინში ჩავიდა რუმინეთის პრემიერი ანტონესკუ

ბერლინი, 22 ნოემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ გერმანიის მთავრობის მოწვევით დღეს ბერლინში ჩამოვიდნენ რუმინეთის პრემიერი გენერალი ანტონესკუ და საგარეო საქმეთა მინისტრი სტურძა.

ჰიტლერმა ანტონესკუ მიიღო

ბერლინი, 22 ნოემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ 22 ნოემბერს, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ რიბენტროპის დასწრებით, ჰიტლერმა მიიღო რუმინეთის პრემიერი, გენერალი ანტონესკუ და საგარეო საქმეთა მინისტრი სტურძა, რომლებთანაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა. დღესვე ანტონესკუ და სტურძა მიიღო რიბენტროპმა.

იტალია-საბერძნეთის ომი

ნიუ-იორკი, 23 ნოემბერი (საკდესი). ამერიკული პრესის ცნობებით, საბერძნეთის ჯარის მეწინავე ნაწილები გუშინ 5 საათზე ადგილობრივი დროით კორჩაში შევიდნენ. მთავარი ძალები ქალაქს მიადგნენ მხოლოდ ოთხი საათის შემდეგ.

უკან დახევისას იტალიელებმა კორჩიდან დიდძალი სამხარი მასალის მარაგი გაზიდეს. საბერძნეთის ცხენოსანი ჯარი და ჯავშნიანი ავტომობილები უკუქცეულ ნაწილებს მისდევენ ქალაქის ჩრდილო-დასავლეთით.

იტალიელთა შორის, რომლებიც კორჩის ფრონტზე ბერძნებს ტყვედ ჩაუვარდათ, არის გენერალი ჟანინი.

ბერძნების მიერ კორჩის დაკავებიდან რამდენიმე საათის შემდეგ იტალიელთა თვითმფრინავებმა ინტენსიურად დაუშინეს ყუმბარები ქალაქს.

საბერძნეთის ცხენოსანმა ჯარმა მოროვოს მთის რაიონში დაიკავა ხეობა. ივან-გორა, სადაც ბერძნებს იტალიელთა მეწინავე საგუშაგო დანებდა, იზოლირებულია. დასავლეთ სექტორში ქვეითა ჯარმა არგიროკასტრონის გზა გადასჭრა.

ბერძნები კვლავ უტევენ პოგრადეცსა და ოხრიდის ტბას.

სამთო არტილერია განუწყვეტლივ უშენს კორჩა-პოგრადეცის გზას. ხელთ იგდეს ორი ტანკი, ერთი მძიმე ქვემეხი, 13 ტყვიამფრქვევი და სამხარი მასალით დატვირთული 9 სატვირთო ავტომობილი. ინგლისის სამი ყუმბარმშენი თავს დაესხა პოგრადეცს და ქალაქში ხანძარი გამოიწვია, აგრეთვე ყუმბარები დაუშინა იტალიელთა ჯარსა და ავტოტრანსპორტს ელბასანის დასავლეთით.

ბერძნებმა დაიკავეს ვარსკვლავის მთა, თუმცა იტალიელები ამ მთაზე ზოგიერთ პოზიციას ჯერ კიდევ ინარჩუნებენ. იტალიელთა ერთი ბატალიონი 800 კაცის შემადგენლობით სტენიეს მახლობლად იუგოსლავიის საზღვარს გადავიდა, ბატალიონი განაიარაღეს.

იუნაიტედ პრესის სააგენტო იაპონიიდან ინგლისელთა ევაკუაციის შესახებ

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ინგლისის საკონსულოები დაჟინებით მოითხოვენ, რათა იმ ინგლისელებმა, რომელთა ყოფნა იაპონიაში აუცილებლობით არ არის გამოწვეული, რაც შეიძლება მალე დასტოვონ იაპონია.

ა. ვ. სუვოროვი

(დაბადებიდან 210 წლის შესრულების გამო)

ალექსანდრე ვასილის-ძე სუვოროვი გენიალური რუსი სარდალია. მისი სახელი იხსენიება ისეთი დიდი სარდლების სახელებთან ერთად, როგორც ალექსანდრე მაკედონელი, ჰანიბალი, იულიუს კეისარი, ნაპოლეონ ბონაპარტი.

სუვოროვი დაიბადა მოსკოვში, ოფიცრის ოჯახში. ფიზიკურად სუსტი და ავადმყოფი იყო სუვოროვი ბავშვობისას, მაგრამ რაც მას ბუნებამ დააკლო, ის მან შეავსო საკუთარ თავზე მუშაობით. სისტემატიური ფიზიკური ვარჯიშით მან გამოიმუშავა ამტანობა, რკინისებური ნებისყოფა, გახდა ჯანმრთელი. ასეთივე მონდომებით და შეუპოვრობით ეუფლებოდა მეცნიერებას. მოკლე ხანში ისწავლა ფრანგული, გერმანული, პოლონური ენები, შემდეგში კიდევ შეისწავლა ოსმალური და იტალიური ენები.



სუვოროვმა სამხედრო საქმის დაუფლება დაიწყო უბრალო ჯარისკაცობიდან. 16 წლის იგი იწყებს ნამდვილ სამხედრო სამსახურს ჯარისკაცად. შემდეგში მას არაერთხელ უთქვამს: „იყავი კარგი ჯარისკაცი, თუ გინდა იყო კარგი ფელდმარშალიო“.

1754 წ. სუვოროვს ოფიცრობა მისცეს. პირველი ომი, რომელშიც მან მონაწილეობა მიიღო, ეს იყო შვიდწლიანი ომი პრუსიასთან.

სუვოროვმა მაშინდელი სამხედრო ტაქტიკისაგან აიღო ყველაფერი, რაც დადებითი იყო მასში და შექმნა თავისი ტაქტიკა, ბრძოლის წარმოების თავისი სისტემა. ჯარს იგი ასწავლიდა მხოლოდ იმას, რაც საჭირო იყო ბრძოლის წარმოებისათვის. მისი სწავლების პროგრამაში სრულებით არ შედიოდა საპარადო ნაწილი. მთავარი ყურადღება მას გამახვილებული ჰქონდა ღამის მანევრებზე. სალაშქროდ მიჰყავდა ხოლმე თავისი ჯარი უღრანი ტყეებით, ღრმა თხრილებზე გადასვლით, ყინვასა, თოვლსა და ქარბუქში. სუვოროვი მეცადინეობას ყოველთვის ომიანობასთან მიახლოებულ პირობებში ატარებდა.

სუვოროვის ჯარში გამეფებული იყო რკინისებური დისციპლინა, მაგრამ ეს დისციპლინა შიშზე კი არ იყო აგებული, როგორც ეს მაშინდელ ჯარებში იყო, არამედ ჯარისკაცის შეგნებასა და უფროსების მაგალითზე. სუვოროვისათვის ჯარისკაცი ყველაფერი იყო, ომის მთავარი იარაღი. ჯარისკაცი ავტომატი არ არის, იგი ადამიანია, რომელმაც იცის სამხედრო საქმე. ამიტომ სუვოროვი ჯარისკაცისაგან მოითხოვდა ინიციატივას. უფროსის ბრძანება უნდა შესრულდეს, მაგრამ შესრულების საშუალება თვითონ ჯარისკაცმა უნდა გამონახოს. „ყოველმა მეომარმა უნდა იცოდეს თავისი მანევრი“,—ამბობდა ხოლმე სუვოროვი.

ამ და ამგვარ პრინციპებს ანვითარებდა სუვოროვი თავის „გამარჯვების მეცნიერებაში“ და ამ პრინციპებზე დაყრდნობით და მათი გამოყენებით ყოველთვის ბრწყინვალედ იმარჯვებდა მტერზე.

შესანიშნავი სამხედრო ხელოვნება გვიჩვენა სუვოროვმა, მაგალითად, საფრანგეთის ჯარებთან ბრძოლაში. როგორც ცნობილია, სუვოროვმა ბრწყინვალედ ჩაატარა კამპანია ჩრდილოეთ იტალიაში. გაიმარჯვა ფრანგებზე ადდასთან, ტრებიასთან და ნოვისთან, დაამარცხა ფრანგთა საუკეთესო სარდლები მორო, მაკდონალდი, ჟუბერი. მაკდონალდთან ბრძოლის ერთი საგულისხმო ეპიზოდი ასეთია: მაკდონალდის ჯარები ავიწროებდნენ ავსტრიელებს მდ. ტიდონზე. სუვოროვი გაეშურა ავსტრიელების საშველად და 36 საათში 84 კილომეტრი გაიარა. გზადაგზა სუვოროვი ამხნევებდა თავის ჯარისკაცებს. „წინ! თავი კუდს არ ელოდება!“—ეუბნებოდა იგი მათ.

სუვოროვმა დროზე მიუსწრო. მისვლისთანავე თავისი ავანგარდით ეკვეთა მტერს და უკუაგდო მდინარის გაღმა. 18 აგვისტოს მოხდა გენერალური ბრძოლა. ბრძოლა შეუპოვარი იყო. თვით ბაგრატიონმაც კი, რომელიც მარცხენა ფლანგზე იბრძოდა, აცნობა სუვოროვს, რომ გამარჯვების იმედი თითქმის აღარ აქვს. ამ დროს რუსების ორმა ბატალიონმა, რომლებსაც ეკვეთა ფრანგების ექვსი ბატალიონი, ზურგი შეაქცია მტერს და გაიქცა. სუვოროვი მოახტა ცხენს, გაუძღვა გაქცეულებს და თან მიაძახა: „ყოჩაღ, ბიჭებო, შემოიტყუეთ, შემოიტყუეთ!“ ცოტა ხნის შემდეგ კი უეცრად შეაჩერა ცხენი და შესძახა: „შეჩერდით! მობრუნდით! მტერს შეუტიეთ! მარშ, მარშ!“ და გამოქცეულები შეტრიალდნენ, ეკვეთნენ დადევნებულ მტერს და შემუსრეს იგი.

სუვოროვის ლაშქრობა შვეიცარიაში, ალპებში მიუვალი ბილიკებით მისი ჯარის გავლა—ეს ხომ ლეგენდარულ, უბადლო ლაშქრობად არის ცნობილი სამხედრო ლაშქრობათა ისტორიაში.

ა. ვ. სუვოროვი—ეს შესანიშნავი სარდალი მთელი რუსეთის არმიაში განსაკუთრებული პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობდა. მაგრამ რამდენადაც იგი საყვარელი იყო ჯარისკაცებისა და ოფიცრობისათვის, იმდენად სძულდათ არისტოკრატიულ წრეებში. სუვოროვი მეტად პირდაპირი კაცი იყო, სიმართლის პირში მთქმელი. იგი პირდაპირ ეუბნებოდა ეკატერინე მეორეს, თუ რა სისაძაგლე ხდებოდა ჯარში, რა აუტანელი იყო ჯარისკაცის მდგომარეობა, როგორ ქურდობდნენ მსხვილი სამხედრო მოხელეები, როგორ ფესვებგადგმული იყო მათში მექრთამეობა, მლიქვნელობა და სხვ. არისტოკრატიულ წრეებში სუვოროვს ვერ ითმენდნენ. ისინი არ ერიდებოდნენ არავითარ საშუალებას სუვოროვის გასამწარებლად, და მიზანს ხშირად აღწევდნენ კიდეც: სუვოროვს ან გადაასახლებდნენ, ან შვებულებაში გაუშვებდნენ, ან სამსახურიდან სრულიად გაათავისუფლებდნენ ხოლმე და სოფელში გაგზავნიდნენ საცხოვრებლად.

სუვოროვი მხოლოდ მაშინ სჭირდებოდათ, როდესაც მტერი კარს მოადგებოდა რუსეთს. იცოდნენ, რომ სადაც სუვოროვი გაჩნდებოდა, იქ გამარჯვებაც იყო. როგორც კი საფრთხე გაივლიდა, სუვოროვს თავიდან იცილებდნენ. მაგრამ სუვოროვი არ გატყდა. თავისი სამშობლოს სიძლიერეს იგი ხედავდა ძლიერ არმიაში და სასტიკ, დაუნდობელ, მოურიდებელ ბრძოლას უცხადებდა ყველა იმათ, ვინც არმიის ძლიერებას ძირს უთხრიდა.

მიუხედავად იმისა, რომ მმართველი არისტოკრატიული წრეები ყოველმხრივ ჩაგრავდნენ სუვოროვს, მან მაინც შესძლო ახალი ფურცლის ჩაწერა რუსეთის სამხედრო ხელოვნების განვითარებაში.

ა. ვ. სუვოროვის, ამ გენერალ-ჯარისკაცის შესანიშნავი ცხოვრება საუცხოო მაგალითია ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

შ. გვინჩიძე

ვ. ს. მესხიშვილის გარდაცვალებიდან 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო

25 ნოემბერს, საღამოს 8 ს. 30 წ., ხელოვნების მუშაკთა სახლში (მახარაძის ქ. № 8) საქ. სახელმწიფო თეატრალური მუზეუმი და ხელოვნების მუშაკთა სახლის დირექცია აწყობენ ვლადიმერ სარდიონის-ძე მესხიშვილის გარდაცვალებიდან 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოს შემდეგი პროგრამით:

1. „მესხიშვილი, როგორც მსახიობი და რეჟისორი“ (მომხ. დ. ჯანელიძე).
2. „მესხიშვილი, როგორც მოქალაქე და საზოგადო მოღვაწე“ (მომხ. გერსამია).

სიტყვებითა და მოგონებებით გამოვლენ სახალხო არტისტები: შ. დადიანი, ელ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჩხეიძე, სსრ კავშირის სახ. არტისტი აკ. ვასაძე, ი. გრიშაშვილი, პროფ. აკ. ფაღავა, დამსახ. არტისტები: ნ. დავითაშვილი, ვ. ბალანჩივაძე.

გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ ლატვიელი ფეხბურთელები. **სურათზე:** ლატვიელი ფეხბურთელები თბილისის ვაგზალზე. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ლატვიელი ფეხბურთელები თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა ლატვიის ფეხბურთელთა გუნდი. დილის 8 საათზე, მატარებელი გაჩერდა ბაქანთან. თბილისის ფიზკულტურელებმა სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში ლატვიის სასპორტო დელეგაციის ხელმძღვანელმა ი. ლაველტანმა განაცხადა: ჩვენ ჩავატარეთ ორი შეხვედრა ფეხბურთში, რომლებმაც ცხადჰყვეს საბჭოთა გუნდების ძალა. ჩვენი გუნდის შემადგენლობაში არიან მოთამაშეები, რომლებსაც ბევრჯერ უთამაშნიათ ლატვიის ნაკრებ გუნდში. მათ შორის არის კაპიტანი ი. ლიდმანი, რომელსაც ლატვიის ნაკრებ გუნდში უთამაშნია 59-ჯერ, მარცხენა გარემარბი ე. რაისტერი—30-ჯერ, ძმები ლევიტანუსები და სხვ. გუნდის შემადგენლობაში არიან აგრეთვე: ძმები ხოლდეევები, გ. ბრიედისი, ე. ვოლგასტი, ფ. ლაუმანი, მ. შტალი, ფ. კრუპში, ფ. კანეპი, ე. ფრაიმანი, ა. ეგერი, კ. ფიშერი, ე. ვიუპი, ა. ბერგმანი, ვ. კარკლინი და ვ. ცელმარაუგი. გუნდის მწვრთნელია კ. უპენიეკი.

ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე წინასწარ ჩავატარეთ ვარჯიში. სტადიონი შესანიშნავ შთაბეჭდილებას სტოვებს. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდთან შეხვედრის შემდეგ გუნდი წავა ბათუმში, იქიდან დაბრუნდება თბილისში და ჩაატარებს მეორე შეხვედრას თბილისის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდთან.

ჩვენ მოვასწრეთ ქალაქის ნაწილის დათვალიერება. ჩვენზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა, მთავრობის სახლმა, რუსთაველის პროსპექტმა და სხვ. ჩვენ გაგვაოცა თბილისში თბილმა მზიანმა დღეებმა.

ჩვენ დიდიხანია გვსმენია თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის შესახებ, რომელმაც სსრ კავშირის პირველობის გათამაშებაში მეორე ადგილი დაიკავა, და მე ვფიქრობ, რომ მატჩში ბრძოლა დაძაბული იქნება.

დღევანდელ მატჩზე გაყიდულია 30 ათასზე მეტი ბილეთი. მატჩი დაიწყება ნაშუადღევს 3 საათზე.

ლექციები და მოხსენებები

25 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში დოც. **ს. ლარცულიანი** წაიკითხავს საჯარო ლექციას თემაზე — **ამხანაგ სტალინის შრომა „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“.**

25 ნოემბერს მარქსიზმ-ლენინიზმის საერთო-საქალაქო უნივერსიტეტის საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის ფაკულტეტზე (ფურცელაძის ქ. № 1) შესდგება ამხ. **ლ. გეგეშიძის** ლექცია.

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

25 ნოემბერს, საღამოს 8 ს. 30 წ., მარჯანიშვილის სახელობის თეატრში შესდგება ამხ. **ფრიშენბერგის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„საერთაშორისო მდგომარეობა“.**

ბილეთები იყიდება მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სალაროში და საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში.

25 ნოემბერს, დღის 1 საათზე, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში (ლერმონტოვის ქ. № 3) პროფ. **არნ. ჩიქობავა** წაიკითხავს მოხსენებას: „ხუნძური ენის ფონეტიკური პროცესები“.

25 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში (ლერმონტოვის ქ. № 3) უფრ. მეცნ. თანამშრომელი **ქ. მგელაძე** წაიკითხავს მოხსენებას: **„ნუმერატიული სახელები ქართულში“** (რიცხვის გენეზისისათვის).

შესვლა თავისუფალია.

25 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა კლუბში (მაჩაბლის ქ. № 13) პოეტებისა და მთარგმნელთა სექციების გაერთიანებულ სხდომაზე მწერალი კონსტანტინე ჭიჭინაძე წაიკითხავს მ. ლერმონტოვის „დემონის“ ახალ თარგმანს.

დასწრება თავისუფალია.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პლენუმი

25 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, რაიკომის სხდომათა დარბაზში შესდგება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომის მორიგი პლენუმი.

დღის წესრიგშია: 1. კომკავშირული ორგანიზაციებისადმი რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობის შესახებ (მომხს. რაიკომის მდივანი ამხ. ხოშტარია).

2. ანგარიში კიროვის რაიპარტორგანიზაციაში 1940 წ. 1 სექტემბრიდან 15 ნოემბრამდე პარტიაში მიღების ხაზით წარმოებული მუშაობის შედეგების შესახებ (მომხს. რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყ. გამგე ამხ. წერეთელი).

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომი.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის — „მუსიკალური ისტორია“, **დღისით**—„ექიმი აიბოლიტი“, **ოქტომბერი** — „მუსიკალური ისტორია“, **დღისით** — „ორი მეგობარი“, **დამკვრელი** — „მუსიკალური ისტორია“, **დღისით**—„საჰაერო ფოსტა“, **კომკავშირელი** — „კარო“, **ლუქსემბურგის სახ.** — „მუსიკალური ისტორია“, **დღისით** — „ფეხბურთელები“, **სპარტაკი** — „კარო“, **კომინტერნი** — „ბელა“, **26 კომ. სახ.** — „ხელმხანი“, **განთიადი** — „უმზითვო პატარძალი“, **წითელი არმიის სახლი** — „მიგდებული ბავშვი“, **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — „დურსუნ“, **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** — „უკანასკნელი მასკარადი“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

სპექტაკლები

სსრ მოსკოვის ლენინის ორდენოსანი დიდი საოპერო თეატრის სოლისტის დავით ბადრიძის მონაწილეობით

27 ნოემბერს	30 ნოემბერს	3 დეკემბერს
ვერდი ტრავიატა	ვერდი რიგოლეტო	ჩაიკოვსკი ევგენი ონეგინი

დაწყებულია ბილეთების წინასწარი გაყიდვა ყველა გამოცხადებულ სპექტაკლზე. სალარო ღიაა დღის 11-დან 3 საათამდე და საღ. 5-დან 9 საათამდე.
დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ. 3—1 100

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი

24 ნოემბერს	26 ნოემბერს	27 ნოემბერს
ანრი სეარ	ბედნიერება	კოლმეურნის ქორწინება

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.
24 ნოემბერს დღის წარმოდგენა **კოლმეურნის ქორწინება** დასაწყ. დღის 12 ს.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს,

რომ ა. წ. 11 დეკემბერს, საღ. 8 საათზე, აუდ. № 97 (უნივერსიტეტის მთავარი შენობა, მარის ქ. № 1) ეკონომიური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე დისერტაციას დაიცავს—**არჩილ დავითის-ძე სტეფანიშვილი** ეკონომიური მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„1900—1903 წ.წ. სავაჭრო-სამრეწველო კრიზისი რუსეთში“.**

ოფიციალური ოპონენტები: პროფ. **ს. ბერაძე,** ეკონ. მეც. დოქტორი **პ. გუგუშვილი.**

სადისერტაციო შრომის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
200 რექტორის მოვ. დრ აღმსრულებელი პროფ. **ა. ხარაძე.**

მე-46 საშუალო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი თანაგრძნობას უცხადებენ ამავე სკოლის მასწავლებელს ვალერიან იესეს-ძე ხუნდაძეს მისი დედის

ესმას

გარდაცვალების გამო. 9018

მეგობრები მაჭარაშვილი, საბანაძე, ყიფიანი, სულაქველიძე, ხიდიშელი, ინჯგია იუწყებიან თბილსაზვავტრესტის სასადილო № 89 დირექტორის გრიგოლ ღლონტის დის

ლუბა მოსეს-ასულ ღლონტის

გარდაცვალებას. 9017

ქმარი კონსტანტინე, მული ალექსანდრა, მაზლები გოგი, სოსო ქამუშაძეები, მშობლები კოწია, ბაბო, ძმები მიშა, შაქრო დემეტრაძეები იუწყებიან, რომ 24/XI 2 ს. ს. წითელწყაროში დანიშნულია

მარო დემეტრაძის

პანაშვიდი. 9010

მე-46 საშუალო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი თანაგრძნობას უცხადებენ ამავე სკოლის მასწავლებელს შიო ვასილის-ძე კასრაძეს მისი ძმის

გრიგოლის

გარდაცვალების გამო. 9019

შვილი ნიკოლოზ, რძალი ანიკო, შვილიშვილი გივი იუწყებიან

ელენე სიმონის-ასულ ხარაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის პროზექტურიდან კუკიის სასაფლაოზე 24/XI 2 ს. პანაშვიდი 1 ს. 8997

[illegible]

ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე გრომაშვილის

გარდაცვალებას. 9008

მე-16 სკოლის დირექცია, პედპერსონალი და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მარო და არკადი ხუნდაძეებს არკადის დედის

ესმა ხუნდაძის

გარდაცვალების გამო. 9009

დედა ბარბალე, ძმა თომა ცოლით იულიათი, შვილებით ციალათი, ელგუჯათი ფურცელაძეები და პელო ჯაჭვაძე იუწყებიან

ელო პეტრეს-ასულ ჯავახიშვილის

გარდაცვალებას. 9011

ვაკის აჟურის ქარხნების სამმართველოს მომუშავენი და ახლო მეგობრები თანაგრძნობას უცხადებენ აკაკი ყორშიას მისი შვილის

პატარა ნანულის

გარდაცვალების გამო. 9012

კატო ფანჯავიძე შვილებით გოგიათი და ნინოთი იუწყება, რომ 24/XI 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია

შაქრო ფანჯავიძის

სამოქ. პანაშვიდი. 9014

მე-3 რაიპოლიკლინიკის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ექიმ ილია პეტრეს-ძე გეგელაშვილს მისი დედის

მართას

გარდაცვალების გამო. 9003

ბიძა რევაზ, ძალო ბარბალე, ბიძაშვილი ნიკო მეუღლით ელენეთი, შვილით ნათელათი ფურცელაძეები იუწყებიან

ელენე ჯავახიშვილის

გარდაცვალებას. 8991

ბეღო, ქეთო, მანია ერისთავები, არჩილ და თამარ მენთეშაშვილები იუწყებიან უახლოესი მეგობრის

ელენე პეტრეს-ასულ ფურცელაძე-ჯავახიშვილის

გარდაცვალებას. 9006

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს

ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის

გარდაცვალებას. 499

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან აკადემიკოს

ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის

გარდაცვალებას. 8998

საქართველოს რესპუბლიკის კურორტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრალური ინსტიტუტი იუწყება ისტორიული მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწის, დიდი საბჭოთა მეცნიერის, აკადემიკოს

ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის

გარდაცვალებას. 9005

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გეოფიზიკური ინსტიტუტი იუწყება საბჭოთა მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწის, ფილიალის პრეზიდიუმის წევრის, აკადემიკოს

ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის

გარდაცვალებას. 8963

ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს დიდი საბჭოთა მეცნიერის აკადემიკოს

ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის

გარდაცვალების გამო. 500

ვახტანგ ჯობაძე და ვასილ ცისკარიშვილი თანაუგრძნობენ ლალისა და ნელის მათი მამის

ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის

გარდაცვალების გამო. 9020

ლალი და ნელი ჯავახიშვილები მწუხარებას გამოსთქვამენ საყვარელი მამის

ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის

გარდაცვალების გამო. 9020

მშობლები ნიკა და ევდოსია, შვილიშვილ ომარით იუწყებიან, რომ 24/XI 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია დების

მარო და ეთერ ყავრიშვილების

პანაშვიდი. 8999

ვენო ლომაძე მეუღლით ქეთოთი, შვილით გურამით იუწყება უახლოესი მეგობრის ინჟინერ

ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე გრომაშვილის

გარდაცვალებას. 8994

ნიკოლოზ კვინტრაძე ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს არკადი ხუნდაძეს მისი დედის

ესმა ქაიხოსროს-ასულ ხუნდაძის

გარდაცვალების გამო. 9004

საქკურორტტყის თანამშრომლები ერისთავი, კერესელიძე, წულაძე, წერეთელი, მეგრელიშვილი, შუბლაძე, შაიშმელაშვილი, ტაბატაძე, ძოძუაშვილი, კიკაბიძე, თოდუაძე, იოსელიანი, ქავთარაძე იუწყებიან საირმის სატყეო მეურნეობის დირექტორის

კლიმენტი გიორგაძის

გარდაცვალებას. 8972

მეზობლები, მცხოვრებნი გოგოლის ქუჩაზე № 42—ა, იუწყებიან

ოლღა სოლომონის-ასულ ხუბულურის

გარდაცვალებას. გამოსვენება 24/XI 2 ს. კუკიის სასაფლაოზე.

შვილი ევა, სიძე ნოე, შვილიშვილები კლარა, დანტე ბურჯანაძეები იუწყებიან

მაკრინე მერაბის-ასულ ნასარაია-ჟორჟოლიანის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 26/XI 6 ს. ბრძოლის, 39. 9000

ფერაძე, ჭიპაშვილი, კოშკაძე, ხვინგია, ნოდია, ხეთაგიშვილი, ბურდული, სულიაშვილი, კიკაბიძე, ქიქოძე, ორჯონიკიძე, სირბილაძე, მიქელაძე, ცინცაძე იუწყებიან ამხანაგის

ლიუბა ღლონტის

გარდაცვალებას. 9001

ბალათურია, ბალავაძე, ლომაძე, შახნოვიჩი, მაცაბერიძე, კვიმსაძე, გოგოლაშვილი, მამუჩაიშვილი, იოვიძე, ჟუჟუნაშვილი, კანდელაკი, ჭიჭინაძე იუწყებიან სერგო მაღლაკელიძის სიძის

პეტრე მიხეილის-ძე სანიკიძის

გარდაცვალებას. 9015

მეუღლე მარიამ, შვილები ნინო, ანეტა, ელიკო, ნიკო, მიტო, რძალი ელიკო, სიძეები კ. ჩხიკვაძე, ვ. ელიზბარაშვილი, შვილიშვილები იუწყებიან

მიხეილ დიმიტრის-ძე სარალიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24/XI ქ. თელავში. 9007

ვასო, კატო და მერი ჩანთაძეები იუწყებიან ბიძაშვილის

ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე გრომაშვილის

გარდაცვალებას. 9002

ქეთო (საშა) დორეული თანაგრძნობას უცხადებს არკადი ხუნდაძეს მისი დედის

ესმა ხუნდაძის

გარდაცვალების გამო. 9016

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის 3—81—84 სასოფლო. სამეურნეოს — 3—73—40, ეკონომიურისა და განათლება ჯანმრთელობის — 3—80 83. ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის— 3—80—84, წერილების — 3—73—24, პ.-მგ მორიგისა და გამომშვების 3—81—65. გამომცემლობის—51—81. სტამბის დირექტორის— 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. 1 უე 3492